ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 21 სექტემბერი, 2018 №224 (7769) ფასი: 60 თეთრი

## „რახან ზიხარ, მკვლელობა შენს თავზე აიღეო“

ზაზა სარალიძე ამბობს, რომ ბრალდებულის მოსყიდვას ცდილობენ



გვ.7

# ვინ შეაშინა ივანიშვილი



გვ.3

„ოცნებას“ კანაფის წარმოებასთან დაკავშირებული კანონპროექტი უკან მიაქვს

## ირაკლი კობახიძე: „ჩვენი ეკლესიასთან დაპირისპირება თითიდან გამოწოვილი თემაა“





გვ.3

## „ფეხებსაც ვერავის მოსჭამ“! „ხელი ბებიაშენს აუქნიე!“

„ევროპული საქართველო“ და „ქართული ოცნება“ შეიბნენ

## თამარ ჩხეიძე: „ვაპროტესტებ ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიას!“



გვ.2

„კანაფის კულტივაციის მოტივი მხოლოდ ფინანსური არ არის“

## კობა დავითაშვილი: „ის, რასაც ახლა მთავრობა აკეთებს, ლოგიკაში საერთოდ არ ჯდება“



გვ.2

## დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“





გვ.4

აკაკი ზოიძემ ლევან გოგიჩაიშვილს ხელები უქნია



გვ.5

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წამყვან უწყებად დასახელდა

სამართალი გვ.7



## ნინო ლომჯარია მიხეილ კალანდიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს



## ჯოხით მამის მანქანის დაზიანებისთვის შვილს 1 წელი მიესაჯა

ეკონომიკა გვ.6

## პაატა შეშელიძე: „ლარის კურსის პროგნოზირება შეუძლებელია“



## მძღოლმა ჯანო ამყოლაძემ, რომელმაც ბენზინი გადაისხა, ფინანსთა მინისტრი შეთანხმებაზე დაიყოლია — სახმელეთო იმპორტის აკრძალვა 1 წლით გაუქმდა



## ქართული ბანკები მარიხუანის ბიზნესის დაფინანსებაზე საუბარსაც კი ერიდებიან



ISSN 1987-9385
9 771987 938006

4 ლევან ალაფიშვილი: „ოცნებამ“ მარიხუანის თემა სალომე ზურაბიშვილის ნეგატივის გადასაფარად შემოაგდო“

5 საქართველოში მიწისძვრა მოხდა

4 „სლოტკლუბებში“ მოწევის დაშვებას პარლამენტარი ისკო დასენი ლობირებს“

7 ჩხუბი გზაზე — ბრალდებულს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

# თამარ ჩხეიძე: „ვაპროტესტებ ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიას!“

## „კანაფის კულტივაციის მოტივი მხოლოდ ფინანსური არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოში მიმდინარე ცხელ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატს **თამარ ჩხეიძეს**.

***– საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მოუწოდა სამღვდელოების აქტიურ ნაწილს, ნუ მიაყენებს ჩრდილს ეკლესიას. ის სასულიერო პირები, რომლებიც „თავს დაესხნენ“ სალომე ზურაბიშვილს, ზღვარს გადავიდნენ?***

– სამღვდელოება კი არ დაესხა თავს სალომე ზურაბიშვილს, პირიქით, ზურაბიშვილმა შეუტია ეკლესიას და სასულიერო პირებს დაემუქრა კიდეც. ეკლესია ბოლო დროს არაერთხელ გამხდარა თავდასხმის ობიექტი. პირადად მე ვაპროტესტებ ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიას.

***– ამ დღეებში სამღვდელოებამ აქტიურობა გამოიჩინა, რაც ყველას არ მოეწონა.***

– თუ ჩვეულებრივ მოქალაქეს აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება, რატომ ჰგონიათ, რომ ამის უფლება არ გააჩნიათ სასულიერო პირებს? ისინი იმაში არიან შეზღუდული, რომ ვერ დარაზმავენ ხალხს რომელიმე პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ, თორემ, მოსაზრების გამოთქმა არავის ეკრძალება.

ზურაბიშვილის მუქარა საეკლესიო პირების მიმართ იმ ტრაგიკომედიის გაგრძელებაა, რომელსაც ჩვენ თვალს ვადევნებთ. ტრაგედიაა ამ პიროვნების არჩევნებში მონაწილეობა. მისი განცხადებები ხშირად ისეთი აბსურდულია, რომ კომიკური ხდება. ამ კომედიის ნაწილია პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელ სოფო კილაძის განცხადება. კილაძე ირწმუნება, რომ ზურაბიშვილს იმიტომ დევნიან, რომ ის ქალია. რა შუაშია ქალი? კაცი რომ იყოს, ტაშისკვრით შევხვდებოდით განცხადებებს იმაზე, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო და ცხინვალი დაბომბა?!

### „ღამის კლუბებში ჩატარებულ სპეცოპერაციას შორსმიმავალი მიზანი ჰქონდა“

***– საზოგადოება როგორ შეხვდება პატრიარქის ამ მოწოდებას სამღვდელოებისადმი? ხომ არ იფიქრებენ ადამიანები, რომ ეს არის ფარული მხარდაჭერა ზურაბიშვილის, როგორც კანდიდატის, მიმართ?***

– არა. ეს ზოგადი განცხადებაა. კათალიკოს-პატრიარქი ცდილობს, მოზომილი იყოს. მასზე ყოველთვის დიდი ზეწოლა იყო. ხანდაზმულობის გამო ის ახლა განსაკუთრებული პრესის ქვეშ იმყოფება. მიუხედავად დიდი პრესისა, უწმინდესი მაქსიმალურად ცდილობს, ყოველთვის დაიკავოს სწორი და ქვეყნისთვის მისაღები პოზიცია. მისი განცხადებები სწორია. შეიძლება რომელიმე განცხადება ვინმემ ზედმეტად რბილად აღიქვას. საგანგაშო ის არის, რომ არიან ანტისახელმწიფოებრივად განწყობილი კანდიდატები. არის მათი გაპრეზიდენტების საფრთხე.

***– არჩევნების ბედი გადაწყვეტილი არ არის?***

– გამარჯვების შანსი, როგორც წესი, აქვს იმას, ვისზეც მუშაობს სახელმწიფო რესურსი. სხვა შედეგი დადგება მაშინ, თუ საზოგადოება გაერთიანდება და დაირაზმება. ჩემი პოლიტიკური გამოცდილებიდან ვიცი, როგორი ძნელია არჩევნების დროს პროცესის გაკონტროლება. ახლანდელ ოპოზიციასაც გაუჭირდება პროცესის სრულად გაკონტროლება, მით უმეტეს, რომ ადრე არჩევნებში ამხელა ფული არ ტრიალებდა, ახლა კი ასტრონომიული თანხები ბრუნავს.

ყველაზე კონკურენტუნარიანი ძალებისა და კანდიდატების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია პოლიტტექნოლოგიები და შავი პიარი. იმათ მიმართ, ვინც ბრძოლისუნარიანია (ვგულისხმობ დღევანდელ პროდასავლურ ოპოზიციას), წლების განმავლობაში გამოიყენება კარგად დამუშავებული მეთოდები. წინა ხელისუფლებას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ტექნოლოგიების წყალობით ბევრი რამ იქნა გაზვიადებული და დამახინჯებული. ამაში მონაწილეობდა და ახლაც მონაწილეობს რუსეთი.

***– რუსეთს არჩევნებში ჩარევას არაერთი სახელმწიფო სდებს ბრალად.***

– რუსეთი უკვე აშშ-ის არჩევნებშიც ერევა. საქართველოს საარჩევნო პროცესებში კრემლი ყოველთვის მონაწილეობდა.

***– წინასაარჩევნო კამპანიას დაემთხვა კანაფის პლანტაციების თემა.***

– კანაფის პლანტაციების მოშენებისა და შესაბამისი კანონპროექტის ინიციატორები ამ საკითხს მიუბრუნდებიან. ამაში ორი დიდი ინტერესია ჩადებული. პირველი – ფინანსური და მეორე – ქვეყნის შემდგომი დაუძლურება და მოსახლეობის დეგრადაცია.

ფინანსურ სარგებელს აქედან ერთი ჯგუფი, უფრო სწორად, ბიძინა ივანიშვილი მოელის. ეს საკითხი ადრევე მზადდებოდა.

***– რას გულისხმობთ?***

– რამდენიმე თვის წინ განვითარებულ მოვლენებს. მაშინ რუსთაველზე გამოვიდნენ ისინი, ვინც აღშფოთებული იყო ღამის კლუბებში პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციით. მათ გვერდით დაუდგნენ ვითომ ლიბერალები.

ნამდვილი ლიბერალი ილია ჭავჭავაძე იყო. ლიბერალიზმი შემწყნარებლობაა. ახლანდელ ქართველ ლიბერალებს ლიბერალიზმი ნარკოტიკებით გაბრუება, ნარკოტიკების ლეგალიზაცია ჰგონიათ. ამას ეძახიან ბრძოლას თავისუფლებისთვის. სხვისი აზრის მიმართ ისინი შეუწყნარებლები არიან. ამას თავისუფლებისთვის ბრძოლასთან საერთო არაფერი აქვს, პირიქით.

***– კანაფის გაშენებისთვის მაშინ ნიადაგი მზადდებოდა?***

– ღამის კლუბებში სპეცოპერაცია სპეციალურად მოაწყვეს, რომ შემდგომში რუსთაველზე აქციები გამართულიყო. არადა, მანამდე ღამის კლუბებში ნარკოტიკების გამო ახალგაზრდები იხოცებოდნენ.

ყველა ნორმალურ და დემოკრატიულ ქვეყანაში ეწყობა რეიდები და ოპერაციები ნარკოტიკების წინააღმდეგ. ამის გამო აქციებს არ მართავენ. ქუჩის პროტესტს მოჰყვა ის, რომ ფაქტობრივად დაიწყო ნარკოპროპაგანდა.

ნარკომანის ციხეში გაშვების წინააღმდეგი ვარ. ნარკომანს ციხე ვერ გადაარჩენს, მაგრამ მას არც ნარკოტიკების ლეგალიზაცია უშველის. თურმე, ჩაფიქრებული ყოფილა კანაფის წარმოება. მაშინდელ კლიპში ბერა ივანიშვილი ახსენებს სიტყვა „ლეგალიზაციას“.

კანაფის კულტივაციის მოტივი მარტო ფინანსური არ არის. გარდა იმისა, რომ ეს დიდ ფულს აშოვნინებს ერთ ჯგუფს, დაგეგმილია ერის დაჩაჩანაკება და გაბრუება. თუ საზოგადოება ამას არ შეეწინააღმდეგა, ეს განზრახვა შესრულდება.

# კობა დავითაშვილი: „ის, რასაც ახლა მთავრობა აკეთებს, ლოგიკაში საერთოდ არ ჯდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **კობა დავითაშვილი** პასუხობს.

***– ბატონო კობა, მარიხუანის თემასთან დაკავშირებით საზოგადოების პროტესტი უკიდურესად დიდია. როგორია თქვენი შეფასებები?***

– სამწუხაროა ძალიან, რაც ხდება ამ ქვეყანაში. კატეგორიულად მიუღებელია ის კურსი, რომელიც აირჩია ხელისუფლებამ. ჩემთვის ორმაგად სამწუხაროა ეს. მე არ ვარ მტერი და ავის მოსურნე ბიძინა ივანიშვილის და არც „ქართული ოცნების“. ბიძინა ივანიშვილს მივიჩნევდი ადამიანად, რომელიც იმსახურებს პატივისცემას, თავისი საქველმოქმედო საქმიანობიდან გამომდინარე. ხელისუფლებიდან მოგვაშორა მიხეილ სააკაშვილი და ეს კაცი იმსახურებდა მადლობას, მაგრამ, რაც ახლა ხდება, არ ვიცი, ამას რა ვუწოდო. საგონებელში ვარ ჩავარდნილი, რა ხდება და რატომ აკეთებს ამას ბატონი ბიძინა?! ახსნა ვერ მომიძებნია. ისეთი ფატალური შეცდომებია ხელისუფლების, რომ მე უბრალოდ ანალიზს ვერ ვაკეთებ.

***– მაინც რატომ აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ?***

– არ ვიცი, მე ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ, იმიტომ, რომ საღ აზრში, ლოგიკაში, არაფერში არ ჯდება ის, რასაც ესენი აკეთებენ! ეს ყველაფერი კი დაიწყო იმ ავადსახსენებელი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

***– ყველაფრის თავიდათავი ეს გადაწყვეტილებაა?***

– რა თქმა უნდა. მე არაერთხელ მითქვამს, რომ სასამართლო ხელისუფლება გადაჭედილია სააკაშვილის დროს დანიშნული მოსამართლეებით, რომლებიც იმართებიან სააკაშვილის მიერ. ხშირად მეუბნებიან, როგორ იმართებიან, ის ხომ წავიდა და აღარ არის ხელისუფლებაში, რით აშინებს ამ მოსამართლეებსო.

***– რით აშინებს, გაქვთ ამაზე პასუხი?***

– აშინებს იმ პირადი ცხოვრების კადრებით, რომლებიც ყველაზე ჰქონდა დაგროვილი ამ კაცს. სხვას რომ არ ვაწყენინო, პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემზეც ჰქონდა.

***– თქვენზე, ბატონო კობა?***

– სამწუხაროდ და ბრძოლაში რომ ვიყავით ჩვენ იმ გაერთიანებული ოპოზიციის პერიოდში, შემომითვალა, კობა, შენი პირადი ცხოვრების კადრები მაქვს და ამას გამოვიყენებო.

***– რით გაშანტაჟებდათ?***

– მეუბნებოდა, გაჩერდი, თორემ პირადი ცხოვრების კადრებს გაგიმჟღავნებო. ძალიან სამწუხაროა, ეს არ მახარებს, მაგრამ იმ დროს ეს ჩემთვის გამოსავალი იყო, რომ საქართველოში ცოლქმრული ღალატი კაცის მხრიდან არ ითვლება დიდად გასაკიცხ რამედ...

***– ეს არასწორი შეხედულებაა.***

– სამწუხაროდ, ასეა... საზოგადოებრივი მორალი ამ ნაწილში ბევრად უფრო შეუბრალებელია ქალის მიმართ, ვიდრე – კაცის. სააკაშვილს ვუთხარი, რომ, სამწუხაროდ, მე ეს შეცდომა დავუშვი და მეუღლის წინაშე უკვე მონანიებული მაქვს. შენ შეგიძლია, ეს გამოაქვეყნო, მაგრამ ამით ვერაფერს მოიგებ, ქართველი საზოგადოება ამის გამო შენ მიმართ უფრო უარყოფითად განეწყობა, ვიდრე ჩემ მიმართ. მე მაპატიებენ და შენ არ გაპატიებენ იმას, რომ სხვის თეთრეულში იქექები. ყველა მიხვდება, რომ დღეს თუ კობა დავითაშვილს უკეთებენ ამას, ხვალ მე გამიკეთებენ და მას ძველი ამბავი შევახსენე.

***– რომელი ამბავი?***

– სააკაშვილი რომ მინისტრობიდან წამოვიდა და ვაკეში იყრიდა კენჭს, მაშინ მისმა მოწინააღმდეგემ მის მიმართ გამოიყენა პირადი კომპრომატი. ბათუმის რომელიღაც სასტუმროში მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ჩაწერეს და მაშინ არც ფეისბუქი იყო, არც იუთუბი და კასეტების ფორმით მოხდა ამ კადრების გავრცელება ვაკის რაიონში.



ეს ცნობილი ფაქტია, ბევრს უნდა ახსოვდეს. მაშინ ვაკის ამომრჩეველმა ამას უპასუხა იმით, რომ სააკაშვილის რეიტინგი ამით კი არ დავარდა, მან უფრო დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ვაკის არჩევნებში. მაშინ ხალხი მიხვდა, რომ თუ ახლა ეს ჩანაწერი გაიმარჯვებს, მაშინ ხვალ ჩვენც ასე მოგვექცევიან. აქედან გამომდინარე, მიშას მისი პირადი მაგალითი შევახსენე და ვუთხარი, შენ ამით მეტ ზიანს მიიღებ, ხოლო მე პოლიტიკურ სარგებელს ვნახავ-მეთქი და მან ჩემი კადრები აღარ გამოაქვეყნა.

საქართველოში ეს შანტაჟი ჭრის ორი კატეგორიის ადამიანებზე.

***– კერძოდ?***

– თუ ადამიანი არის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის და თუ ადამიანი არის ქალი. დააკვირდით, მე გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ. სულ მახსენდება 5-6 შემთხვევა ამ პირადი ცხოვრების კადრების გამოქვეყნებისა ფეისბუქზე ან იუთუბზე. აქედან ერთი იყო არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანზე და 4-5 იყო ქალზე. ყველაზე მოწყვლადი კატეგორია ამ შანტაჟისა არიან ქალები და ეს კატეგორია.

***– და ამ ყველაფერს რა კავშირი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან და ზოგადად მოსამართლეებთან, რითიც ეს თემა დავიწყეთ?***

– ახლა მოსამართლეების დიდი ნაწილი ვინ არის? თუ სტატისტიკას გადახედავთ, არის ქალი.

***– საით მივდივართ, რომ შანტაჟი მიდის მოსამართლეებზე?***

– რა თქმა უნდა! და ნახეთ, რა გააკეთა მერე სააკაშვილმა? მან ეს ასლები, კომპრომატები, როცა მიდიოდა, დაუტოვა ხელისუფლებას.

***– რატომ?***

– რომ გამჟღავნდება ეს კადრები, თავიდანვე ცხადი იყო.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვინ შეაშინა ივანიშვილი

## „ოცნებას“ კანაფის წარმოებასთან დაკავშირებული კანონპროექტი უკან მიაქვს

შორენა მარსაგიშვილი

იყუჩე, ერო, კანაფის წარმოების დაწყება დროებით შეჩერებულია. საპატრიარქოსა და საზოგადოების მიერ ატეხილმა ხმაურმა მმართველი გუნდი შეაფიქრიანა და მათ დროებით უკანდახევა ამჯობინეს.

უკანდახევის შესახებ განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა. ირაკლი კობახიძემ ერსა და ბერს ამცნო, რომ მთავრობამ კანაფის კულტივაცია-წარმოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, შესაძლოა, პარლამენტიდან გაიწვიოს.

საგანგებო განცხადებაში, რომლის წაკითხვაც კობახიძემ არავის ანდო, იმ მიზეზებზეა, თუ რატომ იხევს მმართველი პარტია უკან. სპიკერი გვეუბნება, რომ ის და პარტია ქართველი ერისა და ეკლესიის წინაშე პირნათელნი არიან.

– საქართველოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია კანონპროექტმა, რომელიც ეხება მცენარე კანაფის კულტივაციას, გადამუშავებასა და ექსპორტს სამედიცინო და კოსმეტიკური საშუალებების წარმოების მიზნებისათვის. კანონპროექტს გამოეხმაურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ჩვენ ვართ პოლიტიკური ძალა, რომლის მთავარი ღირებულებაა ადამიანი და მისი ღირსების დაცვა, რომლის პრინციპებია ხალხის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და ეკლესიისა და პატრიარქის განსაკუთრებული პატივისცემა.

ჩვენ ვუსმენთ საზოგადოებასა და ეკლესიას. სწორედ ამ ღირებულებებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვის შეჩერების თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ პირნათელნი ვართ საქართველოს საზოგადოებისა და ეკლესიის წინაშე, რადგან წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალებების წარმოებასა და რეალიზებას. თუმცა, თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ამ კანონპროექტმა ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური მიმოქცევა შეიძლება წაახალისოს, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას კანონპროექტის გამოწვევის თაობაზე.

სამწუხაროდ, საზოგადოების ვნებათაღელვით ბოროტად ისარგებლეს გარკვეულმა ძალებმა, რომელთა მთავარი ნიშანთვისებები სწორედ ადამიანის ღირსების უგულებელყოფა და მისი შელახვის მცდელობა, ქვეყანასთან, ხალხთან და საზოგადოებასთან დაპირისპირება, ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა.

საზოგადოებას მოვუწოდებთ, ნურავის მივცემთ ვნებათაღელვის ბოროტად, თავის სასარგებლოდ გამოყენების საშუალებას.

გამოვხატავთ უდიდეს პატივისცემას უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ, რომლის თითოეული ნაბიჯი და განცხადება გამსჭვალულია სიბრძნით და რომელიც ყოველთვის მიმართულია ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების დაცვისკენ.

მოვუწოდებთ ყველას, როგორც ჩვენს თანაგუნდელებს, ისე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ ამ საკითხზე საჯარო სივრცეში ემოციური პოლემიკის გაგრძელებისაგან, – ვკითხულობთ განცხადებაში.

ქვეყნის პირველმა კანონმდებელმა ეკლესიის მიმართ პატივისცემა მეორე განცხადებაშიც დააფიქსირა.

ბოლო დღეებში მისმა თანაპარტიელებმა საპატრიარქოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ოპერაცია წამოიწყეს. დეპუტატები და მინისტრები აცხადებენ, რომ სასულიერო პირებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების უფლება არა აქვს.

ზოგი კანონმდებელი ისეა გადარეული, თავის „ხოდზე“ რომ მიუშვა, ანაფორით შეიმოსება და სასულიერო პირების ნაცვლად აღავლენს წირვა-ლოცვას.

მათ ფონზე სათნოდ და ღვთისმოსავად გამოიყურება ირაკლი კობახიძე. ის არ ეთანხმება თანაპარტიელებს იმაში, რომ ეკლესია სახელმწიფოს საქმეებში ერევა.

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეკლესია, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ნეიტრალური და ზუსტად ეს არის ასახული პატრიარქის განცხადებაში, უნდა იყოს საარჩევნო პროცესებიდან, რა თქმა უნდა, არსებითად გამიჯნული ეკლესია და საპატრიარქო და ეს იყო ზუსტად ამ განცხადების პათოსი და მე მინდა, მადლობა კიდევ ერთხელ გადავუხადო, რა თქმა უნდა, პატრიარქს ამ განცხადებისთვის. ეს არის, ბუნებრივია, ის პრინციპი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ თითოეულმა ჩვენგანმა. იყო რამდენიმე მცირე გადახვევა ამ პრინციპიდან, თუმცა, ეს არ ცვლის, რა თქმა უნდა, საპატრიარქოს სულისკვეთებას, პატრიარქის სულისკვეთებას, ჩვენ მოვისმინეთ რამდენიმე განცხადება სასულიერო პირების მხრიდან, რომელიც უკავშირდებოდა არჩევნებს და ეს, ალბათ, არ არის სწორი. შესაბამისად, ეს იყო რეაგირება, პატრიარქს ჰქონდა, ბუნებრივია, ამაზე რეაგირება და ეს არის, რა თქმა უნდა, ყველას საერთო სულისკვეთება. ჩვენ, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ვმოქმედებთ იმ ინტერესების შესაბამისად, რომელიც არის ჩვენთვის საერთო და ეკლესიის საზოგადო ინტერესები და ხელისუფლების საზოგადო ინტერესები არის, ბუნებრივია, საერთო – ეს არის საზოგადოების განვითარების ინტერესი, ეს არის სახელმწიფოს განვითარების ინტერესი და ეს არის პოლიტიკური პროცესების სამართლიანად და სწორად განვითარების ინტერესი, – განაცხადა ქვეყნის პირველმა მეკანონემ.



ირაკლი კობახიძე: „ჩვენი ეკლესიასთან დაპირისპირება თითიდან გამოწოვილი თემაა“




მორწმუნე სპიკერი კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაპირისპირება არსებობს. ირაკლი კობახიძის მტკიცებით, დაპირისპირება თითიდან გამოწოვილი თემაა.

მას თუ დავუჯერებთ, ამ ჭორის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ავრცელებენ.

– „ქართულ ოცნებასა“ და ეკლესიას შორის დაპირისპირება არის თითიდან გამოწოვილი გზავნილი და თქვენ იცით, ვინ ავრცელებს ამ გზავნილს და ვინ ცდილობს, ასე ვთქვათ, ამ ატმოსფეროს ხელოვნურად შექმნას:

ეს არის ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც, თვითონ ვიცით, როგორ უდგებოდნენ ეკლესიას და ვიცით, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ ეკლესიის მიმართ. ესენი არიან ის პოლიტიკური ძალები, რომელთათვისაც ადამიანის ღირსების შელახვა იყო ჩვეულებრივი მოვლენა და ეს არის ყველაზე დიდი ქრისტიანული სიკეთე, რომელიც არსებობს და ეს არიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც უკვე წლებია, ათწლეულზე მეტია, ებრძვიან ეკლესიას, უპირისპირდებიან ეკლესიას და უპირისპირდებიან ადამიანის რელიგიურ გრძნობებს – ეს არიან ეს პოლიტიკური ძალები.

ისინი არიან დაპირისპირებული ეკლესიასთან. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, „ქართული ოცნებისთვის“ არის უმნიშვნელოვანესი იმ პრინციპების მოქმედება, რომლებსაც ეფუძნება ეკლესიის მოღვაწეობა, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

* * *

ინფორმაციამ, რომ მთავრობამ კანაფის წარმოების შესახებ კანონპროექტი უკან გაიწვია, ერი ძალიან გაახარა. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ივანიშვილს ეკლესიის შეეშინდა და მისმა მთავრობამ მისი მითითებით უკან დაიხია.

ამ მოსაზრებას არ იზიარებს რელიგიური მიმომხილველი ლევან სუთიძე. მან თავისი პოზიცია სოციალურ ქსელში დააფიქსირა. ის დარწმუნებულია, რომ ეკლესია ივანიშვილს არ დაპირისპირებია.

– ერთი არჩევნების სათუო მოგებისთვის შავრაზმელების მხარეს გადასვლა ყველას ძვირად დაუჯდება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ კარმა ზაზავნაია შტუკა. ეკლესიაში ბიძინას პოზიციები სუსტი არ არის. ტყუილია, რომ წლების განმავლობაში „ტაძრების დამანგრევლად“ და „ეკლესიასთან მებრძოლებად“ შერაცხულ ხალხს ბანძად დაგეგმილი მედიაკამპანია უცბად „სამების აღმშენებლად“ გადააქცევს, ხოლო სამების აღმშენებელს – ეკლესიასთან მებრძოლად. ამ საცოდაობის შეიძლება სჯეროდეს მხოლოდ ბეჯით გულუბრყვილოს ან ძალიან ზარმაც ბრიყვს.

ხელისუფლება ცოტა ხანს კიდევ მოითმენს და შემდეგ ყველა ბერკეტს ერთიანად მოქაჩავს. უკანა ეზოში დაბმული თითო კარის მღვდელმთავარი ყველა მდიდარს ჰყავს. ძალიან მდიდრებს წინკარშიც უბიათ. რაც მოუნდებათ, იმას აყვირებენ და აყვირებენ იმაზე დამაჯერებლად, ვიდრე ამას ზურაბიშვილის მოწინააღმდეგე მღვდელმთავრები აკეთებენ. თქვენ მართლა პრინციპული ხალხი ხომ არ გგონიათ ესენი?

კათოლიკოსი უკვე ჩარიეს და, თუ საჭირო გახდება, სალტო-მეტანიებითა და მირთმეული საჩუქრებით ფორთხვით სპორტში ოლიმპიურ ჩემპიონატს ჯერ დააარსებენ და შემდეგ მოიგებენ. ჯერ კაცი არ დაბადებულა, ბესელიასთვის ხელის ლოკვაში ეჯობნა. ვერც თქვენ აჯობებთ. აი, უპრინციპო სულელებად კი დარჩებით. საპატრიარქო იქამდე არ გადმოვა თქვენ მხარეს, სანამ არ ნახავს, რომ მოგება უმისოდაც შეგიძლიათ. და, როცა მოგება უმისოდაც შეგეძლებათ, რა ჯანდაბად გჭირდებათ ეს ხალხი, ხვალ რომ ისევ თქვენ გამოგისვან ყელში დანა? – წერს ლევან სუთიძე.

# „ფეხებსაც ვერავის მოსჭამ“! „ხელი ბებიაშენს აუქნიე!“

## „ევროპული საქართველო“ და „ქართული ოცნება“ შეიბნენ

შორენა მარსაგიშვილი

მართალი იყო დეპუტატი ემზარ კვიციანი, როცა ქალებს მანდილით სიარულისკენ მოუწოდა. მისი აზრით, მანდილი ქართველ კანონმდებელ ქალებს თან დაამშვენებს და თან ქართულად აზროვნებას დააწყებინებს.

რამდენად გაალამაზებს დეპუტატ ქალებს მანდილი და ჩიხტიკოპი, ვერ გეტყვით, მაგრამ, ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, კანონმდებელ ქალებს ჩანთაში „კასინკა“ სულ უნდა ეგდოთ. პარლამენტში ძალიან დაძაბული ვითარებაა და დეპუტატებმა გუშინ, 20 სექტემბერსაც გაიწიეს ერთმანეთზე.

სიტუაციის განმუხტვას მარადჟამს მშვიდი ირაკლი კობახიძე 5-წუთიანი შესვენებით შეეცადა, მაგრამ ჩხუბი შესვენებაზეც გაგრძელდა. რომელიმე მანდილოსანს ჩანთაში მანდილი რომ ჰქონოდა, მოჩხუბრებს ჩაუგდებდა და ჩხუბიც შეწყდებოდა.



არეულობა სხდომათა დარბაზში ზაზა პაპუაშვილმა და გიგა ბოკერიამ გამოიწვიეს. ისინი ერთმანეთს დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის გამო დაუპირისპირდნენ.

პაპუაშვილის თქმით, კომისიის წევრებმა „ევროპული საქართველოდან“ სამთვიანი მუშაობის შედეგად ახალი გარემოებები ვერ დადეს დავით სარალიძის მკვლელობის საქმეზე.

– რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ ცინიკოსებიც ხართ, უზრდელებიც ხართ და უტიფრებიც ხართ! ჯერ ერთი, ან რა მორალური უფლება გაქვთ, მანდ რომ ზიხართ და ლაპარაკობთ რაღაცებს, ან კომისიის წევრობა რად გინდათ და ეგ ხელმძღვანელობა, წარმოდგენა არ გაქვთ, – გადმოსძახა ზაზა პაპუაშვილმა „ევროპული საქართველოს“ წევრებს.

მისი შემოძახილი ბოკერიას უკომენტაროდ არ დაუტოვებია და კოლეგას სათქმელი ხელების ქნევით უთხრა.

პაპუაშვილს ეს არ მოეწონა, ის არც ბოკერიას ტონით დარჩა კმაყოფილი.

– ხელი აუქნიე ბებიაშენს, ბიჭო, ხმას დაუწიე, ბიჭო! იდიოტო! – უკივლა პაპუაშვილმა.

კობახიძე თავისი სკამიდან რამდენიმე წუთი მოუწოდებდა კოლეგებს სიმშვიდისკენ და, ვერაფერი რომ ვერ შეაგნებინა, შესვენება გამოაცხადა.

ჩხუბი შესვენებაზეც გაგრძელდა. ამჯერად დეპუტატები უფრო დაბალ ტონალობაში ჩხუბობდნენ.

ბოკერიას დაგმობის შემდეგ პაპუაშვილმა სერგო რატიანისთვის ცადა საქმის გარჩევა.

მის ძველბიჭობას რატიანი ოლიმპიური სიმშვიდით უსმენდა, მერე კი მშვიდი ტონით უთხრა:

– ფეხებსაც ვერავის მოსჭამ, მიდი, გაიარე!

პაპუაშვილმა თავი ხელში აიყვანა და რატიანს შეძლებისდაგვარად მშვიდად უთხრა:

– კამერები დაინახე და უკვე კარგად ხარ?

ამაზე რატიანმა ასევე მშვიდი ტონით უთხრა:

– კამერებთან თავად პოზიორობ.

მეტი „სიამტკბილობა“ მათ აღარ დასცალდათ. მანდატურებმა ისინი ერთმანეთს დააშორეს.





# დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

## აკაკი ზოიძემ ლევან გოგიჩაიშვილს ხელები უქნია

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ დაძაბულობაა. დეპუტატებს აშკარად უჭირთ თავის გაკონტროლება და ერთმანეთს ძალიან ხშირად ეკინკლავებიან.

ორიოდე დღის წინ მეამბოხე დავით ჭიჭინაძემ საპარლამენტო უმრავლესობა ოფიციალურად დატოვა. „ქართული ოცნების“ ბოსებმა ამოისუნთქეს, გველირსა სიმშვიდეო, მაგრამ ვინ გაგახარებს – დეპუტატებმა ლევან გოგიჩაიშვილმა და აკაკი ზოიძემ სულ ხელები უქნიეს ერთმანეთს.

განხეთქილება სლოტკლუბებში თამბაქოს მოწევის შესაძლო დაშვების საკითხის განხილვას მოჰყვა. განხილვა იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მიმდინარეობდა.

დაპირისპირებული დეპუტატების დაშოშმინება და დაწყნარება ეკა ბესელიამ მოახერხა.

კანაფის პლანტაციებზე მეოცნებე მეოცნებეები თამბაქოს ებრძვიან. ახლა მათ გადაწყვიტეს, რომ მოწევა პატარა სლოტკლუბებში შეზღუდონ. დიდ სლოტკლუბებში კი გააბოლე, რამდენიც გინდა.





დეპუტატი ლევან გოგიჩაიშვილი ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა. მისი თქმით, ამის მიღება დაუშვებელია.

– საკუთარ ლოგიკას ეწინააღმდეგებით. პატარაში თუ რჩება აკრძალვა, დიდში რატომ არ რჩება? ნუ აკეთებთ ამ საქმეს, გეუბნებით მე თქვენ. კაკი, ხელი გაუქნიე იმას, ვისთვისაც ასაქნევი გაქვს, – მიმართა გოგიჩაიშვილმა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძეს.

ზოიძე ამაზე გაბრაზდა და ხელების ქნევა გააგრძელა, თან გოგიჩაიშვილი დამოძღვრა და სთხოვა, ნუ ეჭიდავებოდა რაღაც სისულელეზე.

უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი, ვანო ზარდიაშვილი, დაინტერესდა, ამ ცვლილებით ხომ არ შეიზღუდება მხოლოდ პატარა სლოტკლუბები, რითაც დიდები უკონკურენტოდ დარჩებიან.

– ზუსტად ეს გვინდა, რომ პატარა სლოტკლუბები შეიზღუდოს. ყველა კორპუსის ქვეშ არის და პატარა ბავშვები შედიან. ეს არის მოტივაცია, რომ იყოს მხოლოდ დიდი სლოტკლუბები, სადაც უცხოელები მიდიან. ეს იქნება არაპირდაპირი შედეგი, თუმცა ჩვენი მოტივაცია ეს არ არის, – უპასუხა ზარდიაშვილს ზოიძემ.

ზოიძემ გამორიცხა კომიტეტზე გაჟღერებული მოსაზრება, რომ პატარა სლოტკლუბების მიმართ ეს, შესაძლოა, დისკრიმინაციული მიდგომა იყოს.

# ლევან ალაფიშვილი: „ოცნებამ“ მარიხუანის თემა სალომე ზურაბიშვილის ნეგატივის გადასაფარად შემოაგდო“

ნათია ხურცილავა




კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინასაარჩევნო კამპანიისა და მარიხუანის კანონპროექტის კავშირზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, ირაკლი კობახიძემ საზოგადოებას მარიხუანის კულტივაციის ირგვლივ დისკუსიის შეწყვეტისკენ მოუწოდა. პარალელურ რეჟიმში წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. რამდენად თავსებადია წინასაარჩევნო პერიოდთან აღნიშნული საკითხის წამოწევა?***

– ასეთი ტიპის სიურპრიზები ჩვენნაირი ქვეყნებისთვის, საზოგადოებისთვის უცხო არ არის. თუმცა, რასაკვირველია, ნორმალური არ არის. თქვენ სწორად დააკავშირეთ წინასაარჩევნო პერიოდი და ეს საკითხი ერთმანეთთან.

„ქართული ოცნება“ ამ საარჩევნო წელს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბიძინა ივანიშვილს მოუწია პარტიაში დაბრუნება და რაღაცების დალაგება. პარტიაში არაერთი დაჯგუფებაა და სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ. ასეთი განსხვავებული მოსაზრებები მათ საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებითაც ჰქონდათ. ამ მოცემულობაში ივანიშვილმა ოპტიმალური გამოსავალი მოძებნა და არც ერთი ჯგუფის კანდიდატი არ დაასახელა.

ამით მან კიდევ ერთხელ გადაავადა შიდაპარტიული დაპირისპირება, თუმცა, არჩევანი არცთუ სახარბიელო აღმოჩნდა. სალომე ზურაბიშვილი მისი ნეგატივით სახელისუფლებო რესურსის მქონე პარტიისთვისაც კი საკმაოდ რთულად გასაყვანი კანდიდატია. თავად პარტიის ლიდერები არ გამორიცხავენ არჩევნების მეორე ტურს და ამაზე ისინი ღიად საუბრობენ. ამ მოცემულობაში დამხმარე რგოლი არის პარალელურ რეჟიმში ისეთი თემების წამოწევა ან სრულიად ხელოვნურად შექმნა, რომლებიც მთავარს გადაფარავს.

***– თქვენ ამბობთ, რომ მარიხუანის თემა გადასაფარად იყო?***

– რა თქმა უნდა. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ასე უცბად, თითქოს სახელდახელოდ, ბოლოს და ბოლოს, საპატრიარქოსთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე მსგავსი კანონპროექტი შეექმნათ, არა რეგულაციებზე, არა დეკრიმინალიზაციაზე, არამედ პირდაპირ კულტივაციასა და პლანტაციების გაშენებაზე.

რა, ვერ გათვალეს, რაოდენ დიდ აჟიოტაჟსა და განწყრომას გამოიწვევდა ეს კანონპროექტი?! ვერ გაითვალისწინეს, რომ ასეთი მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა?! ამას ვერ დავიჯერებ, მე სულ პირიქით მგონია. ცხადია, გათვალეს და სრულიად შეგნებულად გააკეთეს ეს ყველაფერი.

***– ამ კანონპროექტს პირდაპირ არჩევნებს უკავშირებთ?***

– დიახ. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ქვეყანაში ტოპთემა, რომელიც ნიუსებიდან არ ჩამოდის, კანაფის კულტივაციაა და არა – საპრეზიდენტო არჩევნები. მმართველი პოლიტიკური ძალის მიზანი ყველა შესაძლებლობით სალომე ზურაბიშვილის გაყვანაა.

***– ასეთი თემებით „ქართული ოცნება“ თავის ყულაბაში ნელ-ნელა ნეგატივებს ხომ არ აგროვებს?***

– პარტიას ორი წელი აქვს რეზერვში მთავარ არჩევნებამდე, საპარლამენტო არჩევნებს ვგულისხმობ. შესაბამისად, მმართველი ძალა ფიქრობს, რომ ახლა მისთვის მთავარია, მიზანს მიაღწიოს და შემდეგ უკვე შეეცდება ამ ზიანის ანაზღაურებას. ეს არის მათი სტრატეგია.

მე ეჭვი მეპარება, რომ ამ თემით დასრულდეს ეს ეტაპი. ეს არ იქნება ერთ-ერთი თემა. 28 ოქტომბრამდე ასეთი სკანდალური თემები თანმდევი იქნება ამ წინასაარჩევნო კამპანიის, რომ სალომე ზურაბიშვილი თავისი ნეგატივით არ იყოს ტოპთემა.

***– თქვენ ახსენეთ „ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე ჯგუფი, რომელთა არსებობაზე სხვადასხვა ფაქტები უკვე ღიად მიანიშნებს. ეს დაპირისპირება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის რამდენად გამძაფრდება?***

– 2020 წლისთვის გამოკვეთილი ლიდერი, რომელსაც კოალიციურ მთავრობაში პრემიერის ამბიცია ექნებოდა, იყო კახა კალაძე.

***– დღეს აღარ აქვს?***

– არ ვიცი, ვისი მეცადინეობით, პარტიის თავმჯდომარის თუ ვისი, მაგრამ კალაძემ ეს დივიდენდი, რაც მას ნამდვილად ჰქონდა, გაფლანგა.

***– რატომ გაფლანგა?***

– იმიტომ, რომ კახა კალაძე პირდაპირ სალომე ზურაბიშვილს მიაბეს თავისი სურვილის გათვალისწინებით თუ საწინააღმდეგოდ. ამიტომ, მას თუკი რამე პოზიტივი ჰქონდა, ამ მიბმით ჩამოშორდა. ვნახოთ, რას იზამს ამ მიმართულებით კალაძე.

2020 წლისთვის კახა კალაძე, როგორც „ქართული ოცნების“ წამყვანი დაჯგუფების ლიდერი, პრაქტიკულად უკვე განეიტრალებულია, ამ პირობებში კი სიტუაციის დალაგება, მით უფრო 2020 წლისთვის, ბევრად უფრო ადვილი იქნება ბიძინა ივანიშვილისთვის. თუმცა, ვერ გეტყვით, რამდენად დააკორექტირებს ამ სტრატეგიას კალაძე და რის ფასად დაუჯდება ეს მას.

მას ჰყავს პარლამენტში წარმომადგენლობა ფრაქციის სახით, აქვს გავლენები ბიზნესში, ჯიბეში უდევს ხალხის მანდატი, აქვს პერსონალური, პირდაპირი გზით ელექტორალური რეიტინგი, განსხვავებით ყველასგან, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილისგან.

შესაბამისად, კახა კალაძეს რეალური რესურსი აქვს, მაგრამ როგორ გამოიყენებს ამ რესურსს 2 წელიწადში, ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. ამდენად, „ოცნებას“ კიდევ უფრო საინტერესო პროცესები წინ აქვს, სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

# „სლოტკლუბებში“ მოწევის დაშვებას პარლამენტარი ისკო დასენი ლობირებს“

– თუ სლოტკლუბებში, აპარატებთან და თეატრებში იმიტატორის ნაცვლად თამბაქოს მოწევა დაკანონდა, საპროტესტო აქციებს გავმართავთ. ვინც არ უნდა იყოს, გინდა პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი, პოზიციებს არ დავთმობთ, – ეს განცხადება „კომერსანტთან“ თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელმა გიორგი ბახტურიძემ გააკეთა.

– პრინციპული ჩვენთვის რაც არის, ესაა ორი საკითხი, ერთი კაზინოებთან დაკავშირებით და მეორე – თეატრებთან. ეს კონკრეტული ბიზნესინტერესებიდან გამომდინარეობს და კონკრეტულია პირები არიან ჩართული როგორც ხელისუფლებიდან ისე პარლამენტიდან. ღიად ვაცხადებ, მათი კონკრეტული ბიზნესინტერესები აქვთ და ვემიჯნებით. მეორეა თეატრები, რომლებიც იმიტატორების გამოყენებას ვერ ეგუებიან. მაინცდამაინც ჩვეულებრივი თამბაქო უნდა გამოიყენონ, ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. ამ კუთხით კანონს ცვლილება არ სჭირდება. იმიტატორებს გამოიყენებენ და დამთავრდა. სისტემატიურად თამბაქოს ინდუსტრია აფინანსებს თეატრებს სწორედ იმისთვის, რომ ინტენსიურად იყოს თამბაქოს კვამლით გაჟღენთილი სპექტაკლები. ეს არის დაუშვებელი, – აცხადებს ბახტურიძე.

მისი თქმით, პროცესი მართულია და „სლოტ კლუბებში“ თამბაქოს მოწევის დაშვებას პარლამენტის წევრი ისკო დასენი ლობირებს, რომლის სახელიც „კრისტალბეთს“ უკავშირდება:

– კრისტალბეთი და მისი დამფუძნებელი და მფლობელი ისკო დასენი, რომელიც პარლამენტის წევრია. ამ პროცესში ფინანსთა სამინისტროც არის ჩართული და ბიზნესომბუდსმენიც. ეს არის დანაშაულებრივი წარმონაქმნი და კორუფციის სერიოზული წყარო. ასეთი ინსტიტუცია, ანაქრონიზმია ქვეყანაში, სადაც აცხადებენ, რომ ბიზნესი ხელშეუხებელია.

ცნობისათვის, ისკო დასენი პარლამენტში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პროპორციული სიით მოხვდა. ის პარტიულ სიაში 26-ე ნომერი იყო.




„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, იხსნება შეზღუდვა უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული, სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით. ამასთან, დგინდება გარკვეული პირობები – კერძოდ, აღნიშნული დაწესებულებების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა დასაშვები იქნება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას. ასეთი ადგილების რაოდენობა დაწესებულების ტერიტორიაზე არ უნდა აღემატებოდეს 3-ს, ხოლო თითოეული ადგილის ფართობი არ უნდა იყოს 20 კვადრატულ მეტრზე მეტი.

გარდა ამისა, გამონაკლისის სახით, თამბაქოს მოწევა დასაშვები იქნება სათამაშო აპარატების სალონში, რომლის მოწყობის ნებართვისათვის დადგენილია სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთი არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობით.

თამბაქოს მოწევა ასევე დასაშვები ხდება პროფესიული თეატრის მუდმივი სარგებლობისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაში მხოლოდ მსახიობის მიერ სპექტაკლის მიმდინარეობის დროს, რეჟისორის შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელების მიზნით. ამასთან, სპექტაკლის დაწყების წინ მაყურებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის მავნე ზემოქმედების შესახებ.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები საჯარიმო თანხის ოდენობის შემცირებას ითვალისწინებს.

უფრო კონკრეტულად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლი დარღვევის შემთხვევაში, მოქმედი ნორმით, 500 ლარით ჯარიმდება. პარლამენტისთვის შეთავაზებული ცვლილებით კი, ეს თანხა 200 ლარს შეადგენს. შესაბამისად, იგი დარღვევის შემთხვევაში, 500 ლარის ნაცვლად, 200 ლარს გადაიხდის, ხოლო განმეორების შემთხვევაში – 1.000 ლარის ნაცვლად, 400 ლარს. გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს ფიზიკური პირი დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, განმეორებისას – 200 ლარით.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წამყვან უწყებად დასახელდა

## „ჩვენი პრიორიტეტია, საქართველო უსაფრთხო და სტაბილური ქვეყანა იყოს“

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ ქვეყნების 2017 წლის ანგარიშები გამოაქვეყნა. ყოველწლიურ ანგარიშში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად, შეფასებულია საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.



დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის წამყვანი უწყება ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით და ზოგადად არის კარგად აღჭურვილი და მომზადებული. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, მთლიანობაში, საქართველოს მთავრობას ზოგადად შესწევს უნარი გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის შემთხვევებზე.

**„საქართველო უსაფრთხოების თვალსაზრისით რეგიონში ამერიკის საიმედო მოკავშირეა“**

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველო, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის დიდი ხნის წევრი, განაგრძობდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ რიგ საკითხებზე, ჩართული იყო არაერთ ორმხრივ წვრთნაში და რჩება ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორად უსაფრთხოების სფეროში. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უსაფრთხოების ზომების შესახებ“ გასული წლის მაისში ხელმოწერილ შეთანხმებაზე, რომელიც ქმნის სამართლებრივ საფუძველს ორ ქვეყანას შორის ინფორმაციის ორმხრივად გაზიარების, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) წევრ სახელმწიფოებთან საქართველოს სამხედრო თავსებადობის გაზრდის თვალსაზრისით.

ანგარიშის ნაწილში „კანონმდებლობა, სამართალდაცვითი სფერო და საზღვრის უსაფრთხოება“ ნათქვამია, რომ 2017 წელს, საქართველომ განაგრძო კონტრტერორისტული კანონმდებლობის გაძლიერება. საქართველომ მიიღო კანონმდებლობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების გამოყენების რეფორმირებისა და მართვის ზედამხედველობის გაზრდის მიზნით. ანგარიშის მიხედვით, მთავრობამ ასევე, მოახდინა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაცია. კანონი შემუშავებული იქნა იმგვარად, რომ მთავრობას შეეძლოს უარი უთხრას ლტოლვილის სტატუსზე, თავშესაფარზე ან სხვა საერთაშორისო დაცვაზე იმ პირებს, რომელთა მიმართაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ჩართულნი იყვნენ ტერორისტულ აქტში და/ან აქვთ კავშირი ტერორისტულ ორგანიზაციასთან.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ანგარიშში ასახა საქართველოს მიერ საზღვრის დაცვისა და საავიაციო უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით გატარებული ღონისძიებები და აღნიშნა, რომ საქართველომ გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა სახმელეთო საზღვრის ხუთ სასაზღვრო სექტორზე (ოთხი – აზერბაიჯანთან საზღვრის და ერთი – თურქეთთან საზღვრის გასწვრივ) და დაამატა ოთხი სასაზღვრო სექტორი თურქეთთან საზღვრის გასწვრივ. საქართველომ ასევე შექმნა რისკებისა და საფრთხეების შეფასების განყოფილება, რომელიც მუშაობს ევროპული ინფორმაციის ანალიზის საერთო მოდელის შესაბამისად და ხელი მოაწერა ტაქტიკურ მემორანდუმს ნატო-ს გაერთიანებულ საზღვაო ძალებთან, რაც ხელს უწყობს ნატო-სა და საქართველოს საზღვაო ოპერაციების ერთობლივ მართვის ცენტრს შორის თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლას.

დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, საქართველო არის ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ნატო-ს ერთი-ერთი აქტივობის, ნატო-ს ოპერაციის „ზღვის მცველი“ (Sea Guardian) არაოპერატიული პარტნიორი. ანგარიშში ასევე საუბარია, რომ მთავრობამ მიიღო უსაფრთხოების დამატებითი ზომები საავიაციო სექტორში, დამტკიცებულ იქნა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს კონვენციის და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებული რეკომენდებული პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, აღნიშნულია, რომ მთავრობამ დაამტკიცა და განახორციელა სამოქალაქო ავიაციის სფეროში კრიზისულ-ექსტრემალური სიტუაციების მართვის ერთობლივი სამოქმედო გეგმა.

ანგარიშში ასევე, საუბარია გასული წლის 21-22 ნოემბერს, სუს-ის ხელმძღვანელობით ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ და აღნიშნულია, რომ თბილისის საცხოვრებელ კორპუსში, სუს-ის კონტრტერორისტული დანაყოფის ხელმძღვანელობით ჩატარდა ოპერაცია, ოთხი ეჭვმიტანილი ტერორისტის დაკავების მიზნით, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს სპეციალური დანიშნულების ძალებს. ტერორისტთა ჯგუფის ერთი წევრი დაკავებული იქნა, ორი მოკლული, ხოლო მეოთხე ეჭვმიტანილმა მოახდინა თვითლიკვიდაცია, ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედების შედეგად. ანგარიშის თანახმად, მოგვიანებით, მოხდა გარდაცვლილთაგან ერთ-ერთის, საერთაშორისო ტერორისტის ახმედ ჩატაევის იდენტიფიცირება. ერთი ქართველი ოფიცერი იქნა მოკლული, ხოლო ოთხი დაიჭრა. ტექსტში ასევე, საუბარია 26 დეკემბერს, სასამართლოს ნებართვის საფუძველზე, სუს-ის მიერ პანკისის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, რა დროსაც ჩატაევთან შესაძლო კავშირის გამო, დაკავებულ იქნა 4 პირი. სპეცოპერაციის დროს ერთი ადამიანი მძიმედ დაიჭრა და მოგვიანებით გარდაიცვალა. ანგარიშში ნათქვამია, რომ 2017 წლის ბოლოსთვის გამოძიება ორივე ოპერაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა. ამასთან, დოკუმენტში ნათქვამია, რომ ივლისში, საქართველომ დაიწყო გამოძიება და შემდგომი სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ, რომელიც, სავარაუდოდ, იბრძოდა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში.

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო არის ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) მსგავსი რეგიონული ორგანოს – ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) წევრი. ხაზგასმულია, რომ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ FATF-ის განახლებულ რეკომენდაციებს.

ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2017 წელს, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა ძალისხმევას ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის კუთხით და აქცენტს აკეთებდა მოწყვლად მოსახლეობაში თანასწორობისა და ინტეგრაციის, განათლების, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის, მედიის და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გენდერული თანასწორობის, უმცირესობათა კულტურისა და იდენტობის შენარჩუნების ინიციატივებზე.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის წამოიწყო სტაჟირების სამთვიანი საპილოტე პროგრამა, რომელიც მოიცავდა 65-ზე მეტი სტუდენტის სტაჟირებას 20 სახელმწიფო უწყებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ინიცირებულ იქნა 2017 წელს, იყო პროგრამა „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები„, რომელიც მიზნად ისახავდა უმცირესობათა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების შესახებ, მათ მშობლიურ ენებზე. დოკუმენტში ასევე საუბარია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებზე, როგორც პანკისის ხეობაში, ისე ახალციხეში, რაც მიზნად ისახავდა სხვადასხვა ფორმით კულტურული მრავალფეროვნების წახალისებას.

საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის კუთხით, დოკუმენტის მიხედვით, საქართველო აქტიურადაა ჩართული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საერთაშორისო, რეგიონულ და ორმხრივ დონეზე. საქართველო, ასევე, მჭიდროდ თანამშრომლობს ნატო-სთან; მონაწილეობს ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ კოალიციაში, მათ შორის, მის ფარგლებში შექმნილი უცხოელი ტერორისტი მებრძოლების შესახებ სამუშაო ჯგუფში; არის ტერორიზმის აღკვეთის თაობაზე ევროპის საბჭოს კონვენციის მონაწილე და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი. დეკემბერში, საქართველო გახდა უცხოელი ტერორისტი მებრძოლების დაბრუნების და გადაადგილების თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს 2396 რეზოლუციის თანასპონსორი.

უსაფრთხოებისა და სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო სახელშეკრულებო ბაზის გაძლიერების კუთხით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წელს, საქართველომ ხელი მოაწერა ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ევროპოლთან, ასევე, გერმანიასთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებას. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ორმხრივ შეთანხმებებს, რომლებიც ორიენტირებულია სამართალდაცვით სფეროში საბერძნეთთან და შვედეთთან შემდგომ თანამშრომლობაზე. თანამშრომლობის შესახებ მსგავსი შეთანხმებები საქართველოს გაფორმებული აქვს 28 ქვეყანასთან. ამასთან, ანგარიშში ნახსენებია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით ორგანიზებულ ღონისძიებებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა შესაბამისი უწყებების აქტიური ჩართულობის შესახებ.

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **არჩილ თალაკვაძემ** შეაფასა:



– უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების საიმედო მოკავშირეა და სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში სწორედ ეს არის ასახული, – განაცხადა თალაკვაძემ. დეპუტატი მოხარულია, რომ საქართველოს პარტნიორები ამას სათანადოდ აფასებენ.

– რაც შეეხება საქართველოს უსაფრთხოების სამსახურზე სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებას, მაშინ, როცა კანონმდებლობას ვცვლიდით, ვამბობდით, რომ საქართველო რეგიონში ამერიკის საიმედო მოკავშირეა უსაფრთხოების თვალსაზრისით, როცა საქმე ტერორისტულ საფრთხეებსა და უსაფრთხოებას ეხება. ამ განცხადებაში ესაა ასახული. მოხარული ვარ, რომ ჩვენი პარტნიორები ამას სათანადოდ აფასებენ, – ამბობს თალაკვაძე.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **სოფო ქაცარავას** განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში იმის დასტურია, რომ საქართველოს შესაბამისი უწყებები ეფექტურად მუშაობენ.




როგორც ჟურნალისტებს სოფო ქაცარავამ განუცხადა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ უსაფრთხოება შეინარჩუნოს და გლობალურ უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს.

– ტერორიზმთან ბრძოლა ერთ-ერთი დიდი და გლობალური გამოწვევაა, რისგანაც არც ერთი ქვეყანა დაზღვეული არ არის. სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებაში საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიმართ დადებითი გზავნილი ვნახეთ. ასეთი შეფასება მნიშვნელოვანია. საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რომელსაც გლობალურ უსაფრთხოებაში დიდი წვლილი შეაქვს. ჩვენი პრიორიტეტია, საქართველო უსაფრთხო და სტაბილური ქვეყანა იყოს. ანგარიში იმის დასტურია, რომ შესაბამისი უწყებები ეფექტურად მუშაობენ. მნიშვნელოვანია, იმ მიმართულებით მუშაობა გავაგრძელოთ, რომ საქართველომ უსაფრთხოება შეინარჩუნოს და გლობალური უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს, – განაცხადა ქაცარავამ.

# საქართველოში მიწისძვრა მოხდა



გუშინ, 20 სექტემბერს, საქართველოში მიწისძვრა მოხდა. ბიძგები დედაქალაქშიც იგრძნობოდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, მიწისძვრის ეპიცენტრი თბილისიდან 3 კილომეტრში, სოფელ ნორიოსთან იყო. მიწისძვრის სიმძლავრე 3 მაგნიტუდა იყო.

# პაატა შეშელიძე: „ლარის კურსის პროგნოზირება შეუძლებელია“

## „დღე არ გავა, რაღაც ახალ რეგულირებასა და კორუფციულ სკანდალზე არ გავიგოთ“

იაგო ნაცვლიშვილი



ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში **პაატა შეშელიძემ** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეროვნული ვალუტისა და ეკონომიკის საკითხების შესახებ ისაუბრა.

***— ბოლო რამდენიმე წელია, ეროვნული ვალუტა ზაფხულის ბოლოდან უფასურდება. დღეს არ არის საგანგაშო ნიშნულზე, მაგრამ ზაფხულის მიწურულსვე გაუფასურდა რამდენიმე პუნქტით. თქვენ რას უკავშირებთ ამ ყველაფერს, ეს არის საგარეო ფაქტორებით გამოწვეული თუ მთავრობისა და ეროვნული ბანკის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია?***

— მონეტარულ პოლიტიკას ეროვნული ბანკი ატარებს და სწორედ მის საქმიანობაში უნდა ვეძებოთ ხარვეზები. მე ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ მონეტარული პოლიტიკა არ არის სწორი. არ არის მიმართული ეკონომიკის განვითარებაზე. არ არის ორიენტირებული გრძელვადიან პერსპექტივაზე, ადვილად ექვემდებარება მანიპულირებას, პოლიტიკურ დაკვეთებსა და მსხვილი ბიზნესის ინტერესებს. ადამიანები იღებენ კოლოსალურ თანხებს იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებსაც არ მიუწვდებათ ხელი ამ ინფორმაციაზე და არ აქვთ საშუალება, ხელი მიუწვდებოდეთ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებზე.

ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხის გაცემისა და სხვადასხვა რეგულაციის შემოტანით აქტიურად ერევა ბაზრის ფორმირებაში, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქტიურად მუშაობს სახაზინო ვალდებულებების კუთხით, რაც ნიშნავს, რომ ის აფინანსებს მთავრობას, რაც, წესით, არ უნდა იყოს მისაღები. პირდაპირ არ აფინანსებს, ირიბად აფინანსებს.

***— ირიბ დაფინანსებაში რა იგულისხმება?***

— ის იძენს ღია ბაზარზე სახაზინო ვალდებულებებს. სახაზინო ვალდებულებებს გამოუშვებს ფინანსთა სამინისტრო, მას ჯერ ბანკები იღებენ და ბანკებისგან ის იძენს ან დეპოზიტად იღებს. დეპოზიტად მიღების შემთხვევაში ბანკებს სესხს აძლევს.

***— როგორ უნდა გატარდეს ამ მიმართულებით ეკონომიკური პოლიტიკა?***

— პოლიტიკა საერთოდ არაა საჭირო. ბევრად გონივრული იქნება ან პირდაპირ დოლარიზაცია, ან ლარის დოლარზე მიბმა, რაც გამორიცხავს ჩარევებს, შესაბამისად, ხანგრძლივვადიანად ფისტალურს გახდის ქართულ მონეტარულ სივრცეს და საერთოდ ეკონომიკას. კიდევ უკეთესი იქნება, თუ გამოვიყენებთ სხვა საშუალებებს და თავისუფალი არჩევანი მიეცემა ხალხს.

***— თქვენ ახსენეთ მსხვილი ბიზნესი და მისი ინტერესები. რა იგულისხმება ამაში?***

— ეროვნული ბანკი მართავს საბანკო კარტელს, არიან პრივილეგირებულები, აქვთ ზეგავლენა მიმდინარე პროცესზე, რაც შემდეგ აისახება შემდგომ ვითარებაზე. მათ აქვთ ყველა ბერკეტი, რომ სისტემა მართონ. ასევე, არის დამოკიდებულება სამთავრობო ინტერესებსა და ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებს შორის. როგორც წესი, სინქრონულია და, შესაბამისად, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მიდის მონეტარული პოლიტიკის წარმართვა.

***— ანუ ეჭვი გაქვთ, რომ რაღაც მანიპულაციები შეგნებულად ხდება?***

— ადამიანები ყოველთვის შეგნებულად მოქმედებენ. ეროვნულ ბანკს პრაქტიკულად არ აქვს შეზღუდვა, რომ თქვას, რომ მისი ყველა ნაბიჯი სწორია. ჩვენ არ გვაქვს მისი შეფასების კრიტერიუმები. ერთადერთი არის წლიური ინფლაცია, მაგრამ ამას შემდეგ პასუხისმგებლობა არ მოჰყვება. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ინსტიტუტი, რომელიც პასუხს საერთოდ არაფერზე აგებს.

მისი დამოკიდებულება მუდმივად საფრთხეს უქმნის ეკონომიკის განვითარებას. აქვთ ისეთი ვალდებულებები აღებული, რეალურად რაც არ უნდა ჰქონდეთ და არ აქვთ ვალდებულებები აღებული, რაზეც უნდა ჰქონდეთ. ისინი აკონტროლებენ ფასებს, რაც მათი საქმე არ არის და არ აკონტროლებენ ფულის მასასა და სხვა კომპონენტებს, რაც მათი საქმეა.

***— ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებებია გასატარებელი?***

— ეს ინსტიტუტი საერთოდ უნდა შეიცვალოს, საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება მისი საერთოდ გაუქმება, კომპრომისი იქნება მისი ფუნქციების მკვეთრად შეზღუდვა, ლარის მიბმა უცხოურ ვალუტაზე და ყველა სხვა საბაზრო ოპერაციის გაუქმება.

***— თუ გაუქმდება, ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებული საკითხები როგორ გაკონტროლდება?***

— გაცვლითი კურსი იქნება სტაბილური. ამიტომ მას არავითარი დამატებითი გაკონტროლება აღარ დასჭირდება. ეს იქნება მიბმული კურსი.

***— ინვესტიციებისა და ტურიზმის შემცირება იწვევს ლარის გაუფასურებას შემოდგომის პერიოდში. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?***

— თუ ინვესტიციები შემცირებულია, ხელისუფლებამ თავის თავს დააბრალოს, ეს არასწორი პოლიტიკის შედეგია, მცირე ბაზრის გაყინვით, მონოპოლიების შექმნითა და კორუფციის დანერგვით.

რაც შეეხება ტურიზმს, არ მაქვს ინფორმაცია, რომ ის შემცირდა. პირიქით, ზრდადი დინამიკა იყო. თუმცა, მე არ ვარ ზუსტად ინფორმირებული, როგორი იყო ტურისტების მიერ საქართველოში გაწეული შესყიდვები. მთავარი ის არის, რომ თუ ხედავს ხელისუფლება ამაში პრობლემას, საპირისპიროდ რატომ არ იქცევა?!

დღე არ გავა, რაღაც ახალ რეგულირებასა და კორუფციულ სკანდალზე არ გავიგოთ. ესა თუ ის სახელმწიფო სტრუქტურა თუ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები აქტიურად ერევიან ბიზნესის საქმიანობაში. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესს ხვდება ფორმალური და არაფორმალური წინააღმდეგობები. რეგულირებების მომრავლება არის მსხვილი ბიზნესის შედეგი, რომელიც მთავრობასთან დაახლოებული ინსტიტუციურად გაფორმებული ბიზნესის ქსელში შედის.

***— როდესაც ხდება ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ხშირად რამდენიმე დღე დუმს ეროვნული ბანკი. რამდენად გამართლებულია ეს თუნდაც იმისთვის, რომ მოხდეს მოსახლეობის სწორად ინფორმირება?***

— ეროვნულ ბანკს არჩეული აქვს სირაქლემის პოზიცია. ის არასოდეს აკეთებს მოვლენების ადეკვატურ შეფასებებს და ცდილობს, თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა. ეს არის ინსტიტუტი, რომელიც სრულიად უპასუხისმგებლოა და დაუყოვნებლივ რეფორმას მოითხოვს. თუ განვითარება გვინდა, არ შეიძლება იყოს ინსტიტუტი, რომელიც საკუთარ გადაწყვეტილებებზე პასუხს არ აგებს.

***— ხომ არ არის საშიშროება, რომ კიდევ უფრო გაუფასურდეს ეროვნული ვალუტა ზამთრის მოახლოებასთან ერთად?***

— ძალიან გთხოვთ, ნუ აკავშირებთ ამ თემას ნურც ზამთართან და ნურც ზაფხულთან. ეს არ არის ბუნებასთან დაკავშირებული საკითხი.

***— ეს გასაგებია, მაგრამ ბოლო წლების ტენდენცია აჩვენებს, რომ ლარი გაზაფხულზე მყარდება, შემოდგომით უფასურდება.***

— გადახედეთ გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილებებს თავისი ლოგიკა აქვს და ეს არის დასაფიქრებელი. წლის ბოლოსკენ აქვს მთავრობას ინტერესი. გადაწყვეტილებები მეორდება იმიტომ, რომ პრობლემები მეორდება. პრობლემების გადაწყვეტა არ ხდება. წლის ბოლოს გასასტუმრებელი აქვს მთავრობას ვალდებულებები, დასამთავრებელია პროექტები, დედლაინებია და ამიტომ დამოკიდებულება იცვლება. პრობლემებს აგროვებენ და მერე უნდათ, რომ სწრაფად გადაწყვიტონ.

არჩევნები მოდის წელს და ეს კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას. როგორც ჩანს, მთავრობის ინტერესია, რომ სოციალური პროექტები იქნება თუ ინფრასტრუქტურული, დაამთავროს. არჩევნების პროცესი ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენს, იმიტომ, რომ ადმინისტრაციულ რესურსს აშკარად იყენებენ საარჩევნო კამპანიის დროს. შესაძლოა, პირდაპირ მოსყიდვა არ იყოს, მაგრამ არის ისეთი ფაქტები, რომლებიც არჩევნებზე წამსვლელ ადამიანებზე ახდენს გავლენას, მაგალითად, გზა დაუგეს ან სხვა რაღაცა გაუკეთეს.

თუ არ შევცვლით მონეტარულ სისტემას, გვექნება საფრთხე, რომ გადაწყვეტილებები იქნება მიღებული პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ეს არ იძლევა საშუალებას, რომ ჩემ მიერ სწორად იყოს პროგნოზები გაკეთებული. ეს ინტერესები დინამიკურია. არ ვიცით, რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ ის ადამიანები, რომლებმაც ეს უნდა მიიღონ. ეცდებიან, მაქსიმალურად სხვის ხარჯზე გააკეთონ. ოპტიმიზმი ნამდვილად არ მაქვს. შეიძლება, ერთ დღეში შეიცვალოს დამოკიდებულება, თუნდაც ინტერვიუმ, თუნდაც კრიტიკამ ან პროტესტმა ეს გადაწყვეტილებები შეცვალოს, შესაბამისად, პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

# ქართული ბანკები მარიხუანის ბიზნესის დაფინანსებაზე საუბარსაც კი ერიდებიან



საქართველოს მთავრობამ კანაფის კულტივაცია-წარმოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო კანონპროექტი, შესაძლოა, პარლამენტიდან გაიწვიოს. პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე სპეციალური განცხადებაც გაავრცელა.

— ქართველ საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია კანონპროექტმა, რომელიც ეხება მცენარე კანაფის კულტივაციას, გადამუშავებასა და ექსპორტს სამედიცინო და კოსმეტიკური საშუალებების წარმოების მიზნებისათვის. კანონპროექტს გამოეხმაურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ჩვენ ვართ პოლიტიკური ძალა, რომლის მთავარი ღირებულებაა ადამიანი და მისი ღირსების დაცვა, რომლის პრინციპებია ხალხის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და ეკლესიისა და პატრიარქის განსაკუთრებული პატივისცემა.

ჩვენ ვუსმენთ საზოგადოებას და ეკლესიას. სწორედ ამ ღირებულებებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვის შეჩერების თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ პირნათელი ვართ ქართული საზოგადოებისა და ეკლესიის წინაშე, რადგან წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალებების წარმოებასა და რეალიზებას. თუმცა, თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ამ კანონპროექტმა ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური მიმოქცევა შეიძლება წაახალისოს, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას კანონპროექტის გამოწვევის თაობაზე, — განაცხადა კობახიძემ.

ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე კანონპროექტზე მსჯელობა აქტიურად მიმდინარეობდა, „კომერსანტი“ დაინტერესდა, შსს-ს ავტორობით მომზადებულ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, თუ მოახდენდა საფინანსო სექტორი აღნიშნული დარგის დაკრედიტებას და როგორ შეაფასებდა ბიზნესრისკებს, ჰყავს თუ არა ბანკს ამ სფეროს სპეციალისტები? არდაკრედიტების შემთხვევაში კი რა უფლებით არ უნდა დააფინანსოს ბანკმა ლეგალური ბიზნესსაქმიანობა?

„კომერსანტმა“ ბაზარზე მოქმედ 6 ლიდერ ბანკს (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ვითიბი ბანკი, ქართუ ბანკი, ლიბერთი ბანკი, პროკრედიტ ბანკი) შემდეგი კითხვებით მიმართა:

აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა მარიხუანის კულტივაციის ლეგალიზაციის შესახებ. თქვენი ბანკი მოახდენს თუ არა აღნიშნული დარგის დაკრედიტებას? ანუ გასცემთ თუ არა სესხს იმ ბიზნესზე, რომელიც ლიცენზიას მოიპოვებს?

როგორც აღმოჩნდა, ბანკები ამ ბიზნესის დაფინანსებას კი არა, ამ საკითხზე საუბარსაც ერიდებიან. „კომერსანტის“ მიერ ელექტრონულად გაგზავნილ კითხვებს არცერთ ბანკში არ უპასუხეს. მათი უმრავლესობა მცირე კომენტარით შემოიფარგლა.

მაგალითად, „თიბისი ბანკში“ აცხადებენ, რომ აღნიშნულ საკითხზე კომენტარს არ გააკეთებენ და ეს თემა განხილვაშიც არ არის. „ვითიბი ბანკში“ განმარტავენ, რომ აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტმა გაურკვეველი ვადით გაიწვია, შედეგად, კომენტარს ვერ გააკეთებენ. დამატებით დეტალებზე არც ერთ ბანკში საუბარი არ სურთ.

„საქართველოს ბანკის“ პრესსამსახურში განმარტეს, რომ „კომერსანტის“ მიერ გაგზავნილი კითხვები ბანკის ტოპმენეჯერებთან არის გადაგზავნილი და მათგან პასუხს ელოდებიან.

# მძღოლმა ჯანო ამყოლაძემ, რომელმაც ბენზინი გადაისხა, ფინანსთა მინისტრი შეთანხმებაზე დაიყოლია — სახმელეთო იმპორტის აკრძალვა 1 წლით გაუქმდა



ფინანსთა სამინისტრომ გადაწყვეტილება შეცვალა. უწყება ხორბლის იმპორტიორებისთვის აკრძალვას ერთი წლით გადაავადებს.

შეთანხმებას მხარეებმა ცოტა ხნის წინ მიაღწიეს, რასაც წინ უძღოდა შეხვედრა აქციის ერთ-ერთ მონაწილეს ჯანო ამყოლაძესა და ფინანსთა მინისტრს შორის. ჯანო ამყოლაძე შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე შენობის სახურავზე ავიდა, საწვავი გადაისხა და თავის დაწვით იმუქრებოდა. ივანე მაჭავარიანი ადგილზე სწორედ მისი მოთხოვნის საფუძველზე მივიდა, რასაც 20-წუთიანი დახურული მოლაპარაკებები მოჰყვა.

გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ფინანსთა სამინისტრომ პოზიცია შეცვალა, მძღოლებს თავად ჯანო ამყოლაძემ ამცნო.

„თქვენი გულისთვის და ჩემი გულისთვის ვიყავი იქ. ვიქნები ყოველთვის, როცა თქვენ დაგჭირდებათ. ერთი წლის შემდეგ გადაიხედება. წელიწადი ვიმუშავებ. არ იქნება?! — ისევ იმას ვიზამ, პირობას გაძლევთ“, — განაცხადა ჯანო ამყოლაძემ.

მოლაპარაკების დასრულების შემდეგ მძღოლებს ფინანსთა მინისტრმაც მიმართა და აღნიშნა, რომ შემდეგში მსგავსი გადაწყვეტილებები მძღოლებთან კონსულტაციების შედეგად იქნება მიღებული.

„გავითვალისწინეთ ყველა მძღოლის მდგომარეობა. გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ ერთი წლით გადავავადოთ ამ შეზღუდვის ამოქმედება, ხოლო ამის მერე მომავალი შეზღუდვა, იქნება ეს სეზონური თუ სხვა ტიპის ერთად გავიაროთ მძღოლებთან. ერთი წელი საკმარისზე მეტი ვადაა, რომ ჩვენ სამომავლოდ ისე გავაკეთოთ, რომ ეს ხალხიც არ დარჩეს ქუჩაში, მაგრამ ყოველწლიურად მზარდი ტურისტული ნაკადიც შევინარჩუნოთ და არ ვავნოთ ჩვენს ქვეყანას.

მძღოლების აქცია ტერმინალთან დასრულებულია. ხორბლის იმპორტიორების პროტესტი ოთხი დღე მიმდინარეობდა.

# განჩინება

1.1. ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შოთა სირაძის წარმოებაშია №2/510-2018 სამოქალაქო საქმე, შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯიას“ განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობისა და საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

1.2. განმცხადებელია შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“, ს/კ 415082724, მისამართი: ქ. ფოთი, თავდადებულის ქ.№68.

1.3. უპატრონოდ საცნობი ნივთებია:

12 ცალი 20 ფუტიანი სავსე კონტეინერი:

1. DRYU2544644;
2. GLDU9508098;
3. HMCU3072719;
4. SEGU1515951;
5. SEGU1512675;
6. TCLU3618670;
7. SEGU1516351;
8. HMCU3087961;
9. GLDU5741624;
10. BMOU2861099;
11. EGSU3045540;
12. MAGU2203932.

1.4. კონტეინერების მეპატრონე, რომლის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება კონტეინერებზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც.

1.5. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი საქონლის უპატრონოდ ცნობაზე, რომელთა უპატრონოდ ცნობასაც მოითხოვს შპს „ბი-ეს-ეი ჯორჯია“, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ფოთის საქალაქო სასამართლოში (ქ.ფოთი, აღმაშენებლის ქ.3) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

2. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

3. საქმეს მოძრავი ნივთის უპატრონოდ აღიარებისა და საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ კონტეინერების მფლობელისაგან არ შემოვიდა 330-ე მუხლში მითითებული განცხადება.

4. საჯარო შეტყობინება (ცნობა) გამოქვეყნდეს გაზეთ „ახალ თაობაში“.

5. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

# ნინო ლომჯარია მიხეილ კალანდიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს

სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეში ფიგურანტი მიხეილ კალანდიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას მოითხოვს.

„საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოითხოვა, რომ ხორავას ქუჩაზე ორი არასრულწლოვნის მკვლელობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნასა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიღებულ პარლამენტის დადგენილებაში, სხვა საკითხებთან ერთად შევიდეს დროებითი საგამოძიებო კომისიის შემუშავებული ის რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება 1. გამოძიების დაწყებას სამოხელეო დანაშაულსა და იმ პირების მიმართ, რომლებმაც არამართლზომიერი გავლენა მოახდინეს გამოძიებაზე; 2. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას მ.კ.-ს მიმართ მკვლელობაში მონაწილეობისათვის.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივლისში სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს შესაძლო სამოხელეო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა, რამდენადაც მიიჩნია, რომ კომისიის სხდომებზე გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვებით დადასტურდა, რომ ჩაუტარებელი ან/და დაგვიანებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არ ემსახურებოდა კონკრეტულ საგამოძიებო ტაქტიკას. ამასთან, კომისიის მუშაობის დადგენილმა ფაქტობრივმა გარემოებებმა თავისი მუშაობის პერიოდში გამოავლინა საგამოძიებო ორგანოების შესაბამისი თანამშრომლების და მკვლელობის გამოძიებაში საპროცესო მონაწილეთა ახლო ნათესავებს შორის კომუნიკაცია.

კომისიამ მუშაობის პროცესში მოიპოვა დამატებითი მტკიცებულებები, რომლებიც საქმეში მანამდე არსებულ მტკიცებულებებთან ერთად, მკვლელობაში მ.კ.-ს მონაწილეობის ვარაუდს ქმნის. აღსანიშნავია, რომ ეს კონკრეტული ფაქტები მკვლელობაში მ.კ.-ს მონაწილეობაზე, საგამოძიებო ორგანოების მიერ მკვლელობის მიმდინარე გამოძიების პროცესში შესწავლისა და შეფასების მიღმა დარჩა. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს – საქართველოს პარლამენტმა საგამოძიებო ორგანოებს კომისიის მიერ გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის ვალდებულება დაუდგინოს“, – ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.



ნინო ლომჯარიას განცხადებაზე კომენტარი შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა გააკეთა.

ის ამბობს, რომ „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არც პარლამენტის კომპეტენცია გახლავთ და არც სახალხო დამცველის, არც შსს-სი მათ შორის“.

– ნებისმიერი იურისტისთვის კარგად არის ცნობილი და მე ვერ ვხვდები, რატომ ხდება ასეთი განცხადებების გაკეთება, კარგად არის ცნობილი, რომ სისხლის სამართლის დევნის დაწყებას სჭირდება შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლიობა.

ამიტომ ასე ხელაღებით ამაზე საუბარი, მე პირადად, მეც იურისტი გახლავართ, გამიჭირდება. თუ იქნება შესაბამისი მტკიცებულებები მათ შორის მ. კ.-ს მიმართ, შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოყოფილი საქმის ფარგლებში, ისე, რომ არ გაუცია არავის ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია. ჩვენ არც სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაგვჭირდა, არც პარლამენტის რეკომენდაცია იქ, სადაც მტკიცებულებები იყო, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

# „რახან ზიხარ, მკვლელობა შენს თავზე აიღეო“

## ზაზა სარალიძე ამბობს, რომ ბრალდებულის მოსყიდვას ცდილობენ



ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის მამა, ზაზა სარალიძე, სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს და ამბობს, რომ საქმეზე დაკავებულს მისი შვილის მკვლელობის საკუთარ თავზე აღებას სთავაზობენ.

როგორც სარალიძემ „ტვ. პირველის“ ეთერში აღნიშნა, მსჯავრდებულსა და მის ოჯახს თანხაც კი შესთავაზეს.

– პროკურატურა ცდილობს, ისევ თავისი ვერსია გაიტანოს. აპირებენ მეორე ბავშვის მოსყიდვას, რახან ზიხარ, აიღე ფული და აიღე შენ თავზეო... ეს ყველაფერი გამოვა სააშკარაოზე, ხელისუფლებას არ ეგონოს, რომ ზაზა სარალიძე ამაზე არ მუშაობს. ყველაფერი დალაგდება და საზოგადოების წინაშე დადგება.

ყველა ვიცი, რას აკეთებს და ყველა ვიცი, რაშია ჩართული აბსოლუტურად. ამ საქმის გაყალბებაში თავად მკვლელის ნათესავები არიან ჩართულნი, დაჭერილისა და დაუჭერელის. ამ ყველაფერს დოკუმენტალურად დავამტკიცებ. ეს არის აბსოლუტურად დადასტურებული ინფორმაციები. მე არ მიყვარს ზეპირად საუბარი, ყველაფერი ერთ ადგილზე გროვდება და ერთ დღესაც გაიხსნება, – აღნიშნა ზაზა სარალიძემ.

# თემქაზე პლასტმასის ნედლეულის საწყობში ხანძარი გაჩნდა

გუშინ, 20 სექტემბერს, თბილისში, თემქის დასახლებაში მდებარე პლასტმასის ნედლეულის საწყობში ხანძარი გაჩნდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

უწყების ცნობით, დამწვარია 300 კვადრატული მეტრის ფართობი.

ხანძარი ლიკვიდირებულია. ადგილზე 4 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი მუშაობდა.



# ჯოხით მამის მანქანის დაზიანებისთვის შვილს 1 წელი მიესაჯა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულიად გაიზიარა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი და მამის კუთვნილი ავტომანქანის დაზიანებისთვის მსჯავრდებული ს.ტ.-ს მიმართ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნული ჯარიმა თავისუფლების აღკვეთით შეუცვალა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 14 აპრილს ახალქალაქის რაიონის სოფელ მოდეგაში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ს.ტ.-მ მამამისის ავტომანქანა ხის ძელის გამოყენებით დააზიანა.

ს.ტ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 111, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის ნივთის დაზიანება) წარედგინა. ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ 2018 წლის 22 მაისის განაჩენით ს.ტ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით განუსაზღვრა, რაც ბრალდების მხარემ სასჯელის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა.



თბილისის სააპელაციო სასამართლომ ს.ტ.-ს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# გურჯაანში ყურძნით დატვირთული სატვირთო მანქანა მოტოციკლს შეეჯახა



გურჯაანში ავარიის დროს ერთი ადამიანი მძიმედ დაშავდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, ყურძნით დატვირთული სატვირთო მანქანა მოტოციკლს შეეჯახა, რის შედეგადაც შუახნის მამაკაცი მძიმედ დაშავდა. ის სასწრაფო დახმარების ჯგუფმა, სხეულის სხვადასხვა დაზიანებებით, რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ჩხუბი გზაზე — ბრალდებულს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცივი იარაღის უკანონო ტარებისთვის ბრალდებულს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის და განზრახი მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის უკანონო ტარებისთვის ბრალდებული შ.ა. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 238/1-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 6 ოქტომბერს, განზრახი დანაშაულისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ შ.ა.-ს, რომელიც გარდაბნიდან სოფელი ქესალოსკენ მიმავალ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე „ბმვ“-ს მარკის ავტომანქანით გადაადგილდებოდა, საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებით კონფლიქტი მოუხდა „ოპელის“ მარკის ავტომანქანით მოძრავ მ.შ.-სთან, რომლის დროსაც შ.ა.-მ დანით მ.შ.-ს მუცლისა და ბარძაყის არეში, სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის ოთხი ჭრილობა მიაყენა.

სამართალდამცველებმა შ.ა. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 238/1-ე მუხლის მე-2 ნაწილით ცივი იარაღის ტარება განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ შ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განაჩენთა ერთობლიობით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# თურქეთმა მოქალაქეობის მინიჭების პროცედურები გაამარტივა

თურქეთმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა გაამარტივა.

მან შეამცირა ფინანსური და საინვესტიციო კრიტერიუმები უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ახალი წესების მიხედვით, უცხოელებს შეუძლიათ, თურქეთის მოქალაქეები გახდნენ, თუკი ფლობენ 250 ათასი აშშ დოლარის ოდენობის უძრავ ქონებას 3 წლის განმავლობაში. მანამდე აუცილებელი იყო 1 მილიონი დოლარის ოდენობის ქონების ფლობა.

დეპოზიტების თანხა, რომლებიც უნდა ინახებოდეს თურქეთის ბანკებში მოქალაქეობის მისაღებად, შემცირდა 1 მილიონი დოლარიდან 500 ათას დოლარამდე. გარდა ამისა, მოქალაქეობის უფლების მისაღებად აუცილებელია 100-ის ნაცვლად 50 თანამშრომლის დაქირავება.

გასულ წელს უცხოელებმა თურქეთში 4.6 მილიარდი დოლარის ოდენობის უძრავი ქონება შეიძინეს.



მათი ძირითადი ნაწილი ერაყის, საუდის არაბეთის, კუვეიტისა და რუსეთის მოქალაქეები არიან.



# ინგლისელი კონსერვატორები ტერეზა მეის წინააღმდეგ

თანახმად გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ცნობისა, ინგლისის კონსერვატიული პარტიის წევრები ტერეზა მეის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებენ.

გაზეთის ცნობით, მოვლენები პიკს 2019 წლის მარტისთვის მიაღწევს. ამ დროს მეის გადადგომას შესთავაზებენ.

კონსერვატორთა გარკვეული ჯგუფი უკმაყოფილოა მეის პოზიციით ბრექსიტთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ არ მოსწონთ იმ გარიგების სქემა, რომლის მიღწევასაც მეი ევროკავშირთან ცდილობს.

# კიმ ჩენ ინი დათმობაზე მიდის?!

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი სეულში ჩავიდა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტს შეხვდა. მოლაპარაკების ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღება იყო. კიმ ჩენ ინი ჩრდილოეთ კორეის პირველი ლიდერია, რომელიც სამხრეთ კორეაში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა.

მოლაპარაკებისას მიღწეულ იქნა გარკვეული შედეგი. კიმ ჩენ ინმა თანხმობა განაცხადა, რათა დაეხურა ქვეყნის უმთავრესი პოლიგონები, სადაც ბირთვული პროგრამების შემუშავება ხდება.

– იმედია, რომ ამერიკელები ამის შემდეგ სათანადო შემხვედრ ნაბიჯს გადადგამენ, – თქვა დიქტატორმა.

კიმ ჩენ ინმა იგულისხმა ჩრდილოეთ კორეაში ამერიკული ინვესტიციების მოზიდვა და დიდძალი ფინანსური დახმარება. პრეზიდენტი ტრამპი ამას შეჰპირდა, თუ ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ განიარაღებას დაჰყაბულდებოდა.





# უკრაინამ აზოვის ზღვაზე დამატებითი ძალები გადაისროლა

რუსეთი აზოვის ზღვაზე კუნთების თამაშს განაგრძობს. შედეგად უკრაინამ აზოვის ზღვაზე დამატებითი ძალები გადაისროლა, მათ შორის ახალ-ახალი სადესანტო კატერები, აგრეთვე ავიაცია.

გაძლიერებულია მარიუპოლისა და ბერდიანსკის სანაპირო დაცვაც. ახლო მომავალში ნავარაუდევია ამ რეგიონში უკრაინული სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზის აშენება.

– თუ რუსეთი სამხედრო ოპერაციის ჩატარებას გადაწყვეტს, მწვავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, – აცხადებს უკრაინის გენერალური შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი იგორ რომანენკო.

# ნეთანიაჰუ ირანს დაემუქრა — „თუ თავს მოგვახვევენ ომს, მთელი სიმძლავრით ვუპასუხებთ“

ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, ისრაელის სტრატეგიული ინტერესების ნებისმიერი ხელყოფისგან დაცვაა საჭირო.

ამის შესახებ ბენიამინ ნეთანიაჰუმ იომ-ქიფურის ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა.

– იომ-ქიფურის ომის გაკვეთილები დღესაც გვახსოვს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ახალი ომი თავიდან ავიცილოთ. თუმცა, თუ თავს მოგვახვევენ ომს, მთელი ჩვენი სიმძლავრით ვუპასუხებთ. პირველ რიგში ეს ირანს ეხება, რომელიც ღიად აკეთებს ისრაელის განადგურების მოწოდებებს, – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.



გუშინ, 20 სექტემბერს, ისრაელის ატომური ენერგიის კომისიის ხელმძღვანელმა ზეევ სნირმა განაცხადა, რომ ისრაელი განაგრძობს თავისი ბირთვული ობიექტების გაძლიერებას ირანის მხრიდან მუქარების ფონზე.

– ირანის მხრიდან აღმაშფოთებელი მუქარები ისრაელს აიძულებს, ზომები მიიღოს და დაიცვას თავისი ბირთვული ობიექტები, – განაცხადა მან.

# მერკელმა და პუტინმა ტელეფონით ისაუბრეს



შედგა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისა და გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის სატელეფონო საუბარი.

ძირითადი თემა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები, აგრეთვე სირია და უკრაინა იყო.

მერკელმა პუტინს განუცხადა, რომ იდლიბში შექმნილ მდგომარეობით შეშფოთებულია. პუტინმა მიუგო, რომ იდლიბში შტურმი არ მოხდება. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ შეიქმნება დემილიტარიზებული დერეფანი, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს დააშორიშორებს.

უკრაინის საკითხზე ცხარე დისკუსია გაიმართა. პუტინი კვლავ შეეცადა, დონბასში მიმდინარე პროცესები შიდაუკრაინულ კონფლიქტად წარმოეჩინა.

მერკელმა მიუგო:

– ეს შიდაუკრაინული კი არა, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტია.

მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნია და მათი შესრულება აუცილებელია. მაგრამ ამ საკითხისადმი მიდგომა განსხვავებულია — პუტინი თვლის, რომ მინსკის შეთანხმებებს უკრაინა არღვევს და კიევისთვის სანქციების დაწესებას მოითხოვს. მერკელი ამას არ ეთანხმება.

# აშშ — მოხუცებულთა თავშესაფარში მამაკაცმა მშობლები დახოცა

პენსილვანიის შტატში, მოხუცებულთა თავშესაფარში სროლის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა.

სროლა ფილადელფიის მახლობლად მდებარე კერძო მოხუცებულთა თავშესაფარში მოხდა.

59 წლის მამაკაცმა მოხუცებულთა თავშესაფარში საკუთარი მშობლები დახოცა და მიიმალა. წინა საღამოს მან საკუთარი მეუღლის მოკვლაც ცადა.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პრიმორიეში არჩევნების შედეგები გააუქმეს

პრიმორიეში არჩევნებმა უდიდესი ვნებათაღელვა გამოიწვია. „ედინაია როსიას“ კანდიდატმა კომპარტიის წარმომადგენელს 2 პროცენტით მოუგო. კომუნისტებმა არჩევნები ფალსიფიცირებულად გამოაცხადეს და საპროტესტო აქციები დაიწყეს.



რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია იძულებული გახდა, არჩევნების შედეგები გაეუქმებინა.

პრიმორიეში ახალი არჩევნები ჩატარდება.


# განცხადებები

## სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის, „პახმელიის“, „ზაპოის“, აგრესიულობის მოხსნა რეალურად შესაძლებელია მცენარეული, უვნებელი, შედეგიანი საშუალებებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში თუნდაც ფარულად. ჩვენ შეუძლებელს შეგაძლებინებთ, სურვილია მთავარი. ვმკურნალობთ ალკოჰოლით დაზიანებულ ღვიძლს. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99. ექიმი-ფიტოთერაპევტი.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკაველობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველოს თასზე სენსაციები გრძელდება

### მერანი-დინამო 1:2

<u>**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**</u>
<u>**0:1, 0:2 ზივზივაძე (28, 78), 1:2 ციმაკურიძე (90)**</u>

**მერანი**: მეშველიანი, ტყეშელაშვილი, ზახარჩენკო, ფაცაცია (კურდღელაშვილი 67), მელიავა, გეგია, ლუცენკო (მოსიაშვილი 46), ციმაკურიძე, დუგუ, ხინთიბიძე, ციცხვაია (გალენკო 56)

**დინამო**: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ხარაბაძე, ნინუა (ქოჩლაძე 79), ივანიაენია, შენგელია, კუცია (ქარდავა 69), შულაია (ივანიშვილი 61), ზივზივაძე

მურთაზ ხურცილავას სახელობის სტადიონზე ადგილობრივმა მერანმა დედაქალაქურ დინამოს უმასპინძლა და მეოთხედფინალში სტუმრები გაუშვა.



პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა მე-6 წუთზე შექმნეს. მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ ნიკა ნინუამ შორი მანძილიდან გაისროლა, ბურთი ასცდა მასპინძელთა კარს. ათიოდე წუთში ლევან შენგელია შეიჭრა საჯარიმოში, მისი დარტყმულს ჯერ მეკარე დახვდა, შემდეგ კი მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. 22-ე წუთზე მასპინძლებმაც საკმაოდ სახიფათო შეტევა განახორციელეს: მარჯვენა ფრთიდან ნიკოლოზ ხინთიბიძე ამწვავებდა თამაშს, მისი დარტყმული მცირედით აცდა მიზანს. 26-ე წუთზე მერანის მორიგი სწრაფი კომბინაცია და ამეტ დუგუ ანგარიშის გახსნის რეალურ შანსს უშვებს ხელიდან. სამაგიეროდ მომდევნო შეტევაში ბუდუ ზივზივაძემ გუჯა რუხაიას პასი შეირგო და ერთი შეხებით გადაგზავნა მასპინძელთა კარში.

მეორე ნახევარი პირველთან შედარებით დაბალ ტემპში და სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით განახლდა. იმატა სიხისტემ, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. 78-ე წუთზე კი, ზივზივაძემ დუბლი შეასრულა. დინამოელთა ფორვარდი მეკარესთან პირისპირ დარჩა და შანსი არ გაუშვა ხელიდან.

მატჩის 90-ე წუთზე მერანმა თამაში დაძაბა – კუთხურის შემდეგ ზუსტად გიორგი ციმაკურიძემ ითამაშა და შეამცირა ანგარიში.

მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში აღარაფერი შეცვლილა და დინამომ მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

### ტორპედო-რუსთავი 2:0 (დდ)

ტორპედო რუსთავს შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 2:0 დაამარცხა. მატჩის ძირითადი დრო გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. ტორპედოელებმა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და მატჩის მოგება მეორე დამატებით ტაიმში მოახერხეს. 114-ე წუთზე მეკარის შეცდომით თორნიკე კაპანაძემ ისარგებლა და თავით გადაგზავნა ბურთი რუსთაველთა კარში. ამ მომენტიდან ზუსტად 3 წუთში კაპანაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა ზუსტად და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

### ვიტ ჯორჯია-ჩიხურა 1:1 (3:0პ)

„მცხეთა პარკზე" თბილისის ვიტჯორჯიამ საჩხერის ჩიხურას უმასპინძლა. შეხვედრის ძირითადი დრო და დამატებითი დრო ფრედ 1:1 დასრულდა.

ანგარიში მეორე ნახევარში გახსნა: 64-ე წუთზე საჩხერელთა კარი პაატა ღუდუშაურმა აიღო. სტუმრებმა წონასწორობის აღდგენა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხეს. საკუთარ გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები ლაშა ჩიკვაიძემ შეუნარჩუნა.

საბოლოოდ, გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია გახდა საჭირო, რომელიც ვეტერინარებმა უკეთ შეასრულეს და 3:0 დაამარცხეს მეტოქე.

### გურია-სამტრედია 3:1

შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა ლიგა 3-ის წარმომადგენელმა ლანჩხუთის გურიამ. გურულებმა საკუთარ მოედანზე სამტრედიას უმასპინძლეს და დამაჯერებლად – 3:1 დაამარცხეს მეტოქე.

ანგარიში მე-12 წუთზე სტუმრებმა გიორგი ერისთავის გოლით გახსნეს. სწრაფი გოლის მიუხედავად, ლანჩხუთელები ბრძოლას არ გამოეთიშნენ და მალევე ანგარიში გაათანაბრეს, მე-14 წუთზე თავი კარლო ჯიქიძემ გამოიჩინა. პირველი ტაიმის მიწურულს სამტრედიას კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც ზუსტად ჯიქიძემ შეასრულა, დუბლი გაიფორმა და გურია დააწინაურა.

იმერლებს წონასწორობის აღდგენის საშუალება მეორე ტაიმის სტარტზე შეეძლოთ, მაგრამ 11-მეტრიანი გიორგი ერისთავმა ვერ გამოიყენა. საბოლოო შედეგი კომპენსირებულ დროში დაფიქსირდა, ლანჩხუთელთა მე-3 გოლი ზურაბ გელაშვილმა გაიტანა.

### თელავი-დილა 1:0

მეოთხედფინალში კიდევ ერთი ქვედალიგელი ითამაშებს – თელავმა საკუთარ მოედანზე გორის დილა მიიღო და მინიმალური ანგარიშით მოიგო.

მატჩის ერთადერთი გოლი 83-ე წუთზე გიორგი ნიქაბაძემ გაიტანა.

### ლიახვი-მეტა

<u>**გორი. ახალგაზრდა**</u>
<u>**0:1 ბერიძე (4), 0:2 ქვარცხავა (15), 1:2 ჩხიკვაძე (40), 1:3 აროანია (43), 1:4 კურტანიძე (48), 1:5 ძიგუა (66), 2:5 ჩხიკვაძე (74)**</u>

მეტამ მეტად იოლად მოიგო. მათი უპირატესობა სრულიად აშკარა იყო მთელი მატჩის განმავლობაში და ეს ანგარიშსაც ეტყობა. ვნახოთ, რას შესძლებს დაბალიგელი გუნდი მეოთხედფინალში.

### გარდაბანი-შუქურა

<u>**რუსთავი. ფოლადი**</u>
<u>**0:1 გარაკოევი (64), ნუნიეში (71), ჩელებაძე (77)**</u>

შუქურა ამ მატჩის ფავორიტი იყო და ძალიან ადილად, 3:0 სძლია მეტოქეს. თუმცა, გოლები დიდხანს არ გადიოდა. ზღვისპირელებს ლეგიონერებმა უშველეს – ანგარიში გარაკოევმა გახსნა, რასაც მეორე ნუნიეშმა მიაყოლა, ხოლო საბოლოო წერტილი ჩელებაძემ დასვა.

<u>**ვიტ ჯორჯია 2-გაგრა**</u>
<u>**მცხეთა. მცხეთა პარკი**</u>
<u>**1:0 ამაშუკელი (15), 1:1, 1:2 ცაცკრიალაშვილი (65პ, 59)**</u>

ვიტ ჯორჯიას შეეძლო, 2 გუნდით გასულიყო მეოთხედფინალში, მაგრამ ამის საშუალება გაგრელმა ცაცკრიალაშვილმა არ მისცა. გაგრელმა ფეხბურთელმა 3 წუთში დუბლი შეასრულა და ამაშუკელის გოლი გადაფარა.

# ლევან ყენია: „ვნახოთ, როგორ განვითარდება ჩემი კარიერა"

ლუქსემბურგის კლუბმა დუდელანჟმა სენსაცია მოახდინა და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში ლევან ყენია თამაშობს. დუდელანჟს კი საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, კლაუს ტოპმიოლერის შვილი, დინო ტოპმიოლერი წვრთნის და გუშინ გვიან ღამით შინ მილანს დაუხვდა.

როდესაც ლევან ყენიასთან იტალიელი ჟურნალისტის ალესანდრო სკიავონეს ინტერვიუ გამოქვეყნდა, მატჩის შედეგი ცნობილი არ იყო.

***– დუდელანჟში ზაფხულში გადახვედი. როგორ მოგწონს ლუქსემბურგი?***

– ზაფხულში გადმოვედი და ჯერ გუნდში კიდევ ახალი ვარ. ძალიან კარგი ატმოსფეროა, კარგი გუნდია, რომელსაც კარგი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს. სეზონი ძალიან კარგად დავიწყეთ.

***– რამდენად დიდია განსხვავება ლუქსემბურგის ჩემპიონატის დონესა და იმ ქვეყნების ჩემპიონატების დონეებს შორის, სადაც თამაშობდი?***

– რა თქმა უნდა, ლუქსემბურგში სულ სხვა დონეა. ჩემპიონატი არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც, იმ ქვეყნებში სადაც ვთამაშობდი – უკრაინა, ჩეხეთი და მით უმეტეს გერმანია. მაგრამ ძალიან კარგია, რომ ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდით.

***– რა იცოდი დუდელანჟისა და ლუქსებურგული ფეხბურთის შესახებ?***

– გულახდილად რომ ვთქვა, ბევრი არაფერი. მერე ინტერნეტში მოვიძიე ინფორმაცია.

***– რამ გადაგაწყვეტინა კარიერის ლუქსემბურგში გაგრძელება?***

– მწვრთნელს ვიცნობდი. დინოს მამა, კლაუს ტოპმიოლერი, საქართველოს ნაკრებში დიდხანს იყო ჩემი მწვრთნელი. ისინი დამიკავშირდნენ და დუდელანჟში თამაში შემომთავაზეს.

***– ლუქსემბურგის ჩემპიონატი თუ საქართველოს ჩემპიონატი?***

– საქართველოს ფეხბურთში გაცილებით დიდი ტრადიციები აქვს, ვიდრე ლუქსემბურგს... ჩვენ დიდი გუნდები გვყავდა... მაგალითად, თბილისის დინამო, მაგრამ დღესდღეობით არც საქართველოს აქვს ძლიერი ლიგა. ტექნიკის თვალსაზრისით საქართველოს ჩემპიონატი უკეთესია, აქ კი მეტი ორთაბრძოლაა და მეტს დავრბივართ.

***– ახლა თავს როგორ გრძნობ და რა მიზნები გაქვს დუდელანჟში?***

– კარგად ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ მაქვს პრობლემები. იმედი მაქვს, რომ სეზონის დასრულებამდე ტრავმას აღარ მივიღებ. ძალიან ბევრი ტრავმა გადავიტანე და ახლა უბრალოდ მინდა, რომ ფეხბურთით ვისიამოვნო.

***– დუდელანჟმა უკვე მოახდინა ერთი სასწაული და ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. როგორ ფიქრობ, ამ კლუბს მეტიც შეუძლია, თუ პესიმისტურად ხარ განწყობილი?***

– არა, რატომ? ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ბოლო 4-6 კვირის მოვლენები სწორედ ამის დასტურია. უბრალოდ, ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, მიღწეულით ვისიამოვნოთ და იმედი მაქვს, რომ თავს კარგად წარმოვაჩენთ.

***– პირველი მატჩი მილანთან გაქვს?***

– მილანი დიდი გუნდია, მაგრამ ახლა არც ისე კარგი დრო უდგას. მილანი ყოველთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა, ახლა კი ევროპალიგაშია. პატარა რომ ვიყავი, „როსონერი" ჩემპიონთა ლიგას იგებდა და ევროპის გრანდი იყო. იმ დიდ მილანში ქართველი ლეგენდა კახა კალაძეც თამაშობდა.

***– ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში იყავი. შალკეში გატარებულ პერიოდს როგორ იხსენებ?***

– შალკეში ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო. 18 წლის ასაკში ძალიან კარგი სტარტი მქონდა. სეზონის დაწყების შემდეგ თითქმის ყველა მატჩში ვთამაშობდი, მერე კი ტრავმა მივიღე. ამის შემდეგ 3 წელი გამიცდა, 3



ოპერაცია გადავიტანე და იძულებული გავხდი, შალკედან წავსულიყავი.

***– რაული და შენ გუნდს ერთ დღეს დაემშვიდობეთ.***

– მახსოვს, სტადიონზე ბრწყინვალე ატმოსფერო იყო. გელზენკირხენულ კლუბს განუმეორებელი ფანები ჰყავს. საერთო ჯამში, შალკესთან კარგი მოგონებები მაკავშირებს, მაგრამ ცუდიც, რადგან დიდხანს ვიყავი ტრავმირებული.

***– შალკეში დიდ ვარსკვლავებთან ერთად თამაშობდი – რაული, ჰუნტელაარი, მანუელ ნოიერი... რომელი იყო შენთვის საუკეთესო?***

– ძალიან ბევრ შესანიშნავ ფეხბურთელთან ერთად ვითამაშე. ჩემთვის საუკეთესო ჯეფერსონ ფარფანი იყო – სწრაფი და ტექნიკური ფორვარდი. ასევე კევინ კურანი, რომელიც კარგად თამაშობდა თავით. ჰუნტელაარზე, რაულსა და მანუელ ნოიერზე აღარაფერს ვამბობ – დიდი ფეხბურთელები არიან. ნოიერი დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესო მეკარეა.

***– 10 წლის წინ ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ტალანტად მიიჩნეოდი. ამან შენზე კარგად იმოქმედა თუ უფრო ცუდად? იქნებ წნეხის ქვეშ იყავი?***

– ტრავმის მიღებამდე ყველაფერი ძალიან კარგად იყო. ზეწოლას არ ვგრძნობდი, ვთამაშობდი და თავდაჯერებული ვიყავი. მძიმე ტრავმების შემდეგ დაბრუნება ძალიან გამიჭირდა. ისიც კი არ ვიცოდი, საერთოდ შევძლებდი თუ არა დაბრუნებას. 3-წლიანი იძულებითი პაუზა ძალიან ბევრია. ისეთივე დონის მიღწევა თითქმის შეუძლებელიც კი იყო.

***– ერთ დროს ბუნდესლიგაში თამაშობდი, ახლა კი ლუქსემბურგის ჩემპიონატში ხარ. როგორ ახერხებ მოტივაციის შენარჩუნებას?***

– ბევრი რამ გადავიტანე. კარიერის ნაადრევად დასრულებასთან ახლოს ვიყავი. ახლა კი უბრალოდ ის მიხარია, რომ საერთოდ ფეხბურთის თამაში შემიძლია. ფეხბურთში ყველაფერი სწრაფად ხდება. შეიძლება, 6 თვე კარგად იყოს ყველაფერი, ითამაშო და ისევ დაბრუნდე მაღალ დონეზე.

***– დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოს, რას შეცვლიდი?***

– ახლა უკვე გვიანია, მაგრამ მაინც: შეიძლება, უმჯობესი ყოფილიყო, რომ სხვა ქვეყანაში წავსულიყავი. მაგალითად, ესპანეთში, ან ჰოლანდიაში. ბუნდესლიგაში ფიზიკურად ძალიან ძლიერი უნდა იყო, ბევრი ხისტი ორთაბრძოლა გიწევს და ა.შ.

***– დუდელანჟი ალბათ არ იქნება ბოლო კლუბი შენს კარიერაში.***

– ვნახოთ, როგორ განვითარდება ჩემი კარიერა. თუ კარგად ვითამაშებ, თუმცა არა, წინასწარ არაფერს ვიტყვი.

# საქართველოს ნაკრები რეიტინგში დაწინაურდა

საქართველოს ნაკრებმა სექტემბერში 2 მატჩი მოიგო, რამაც ფიფა-ს ახალ რეიტინგზე იმოქმედა და ჩვენი ნაკრები დაწინაურდა. „ჯვაროსნები" ამ დროისთვის 1.254 ქულით 93-ე ადგილზე არიან, ხოლო წინა თვეს 96-ე ადგილზე იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა სექტემბერში ერთა ლიგის ორი მატჩი გამართა. 6 სექტემბერს ჩვენმა გუნდმა სტუმრად ყაზახეთი 2:0 დაამარცხა, ხოლო 9 სექტემბერს შინ ლატვიას 1:0 სძლია.

ერთა ლიგაზე ჩვენი მეტოქეების რეიტინგი კი სხვადასხვანაირად შეიცვალა: ყაზახეთი 2 საფეხურით დაქვეითდა და ახლა 118-ე ადგილზეა. ლატვიამაც 2 ადგილით დაიწია და ამ დროისთვის 131-ე პოზიციაზე იმყოფება. სამაგიეროდ, 2 პოზიციით დაწინაურდა ანდორა და ახლა 128-ა.

პირველ ათეულში ლიდერი შეიცვალა და ახლა რეიტინგის პირველი ადგილი ბელგიას ეკუთვნის, რომელიც მცირედი ქულებით უსწრებს მსოფლიო ჩემპიონ საფრანგეთს. სხვა ცვლილებები ათეულში არ მომხდარა.

1.ბელგია – 1.729 ქულა; 2.საფრანგეთი – 1.729; 3.ბრაზილია – 1.663; 4.ხორვატია – 1.643; 5.ურუგვაი – 1.632; 6.ინგლისი – 1.612; 7.პორტუგალია – 1.606; 8.შვეიცარია – 1.598; 9.ესპანეთი – 1.597; 10.დანია – 1.581.



## შედეგები

<u>**19 სექტემბერი**</u>
<u>**ფეხბურთი**</u>

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბენფიკა-ბაიერნი ... 0:2
ვალენსია-იუვენტუსი ... 0:2
შახტარი-ჰოფენჰაიმი ... 2:2
სიტი-ლიონი ... 1:2
აიაქსი-აეკი ... 3:0
იანგ ბოიზი-მანჩესტერი ... 0:3
პლზენი-ცსკა ... 2:2
რეალი-რომა ... 3:0

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ფიორენტინა ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-4 | 12 |
| 2.სპალი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 9 |
| 3.ნაპოლი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-6 | 9 |
| 4.სამპდორია | 4 | 2 | 1 | 1 | 9-2 | 7 |
| 5.ფიორენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| 6.სასუოლო | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 7.ჯენოა | 3 | 2 | 0 | 1 | 6-6 | 6 |
| 8.ლაციო | 4 | 2 | 0 | 2 | 3-4 | 6 |
| 9.რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| 10.უდინეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 11.ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 12.კალიარი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 13.პარმა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 14.ატალანტა | 4 | 1 | 1 | 2 | 7-6 | 4 |
| 15.მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 16.ემპოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| 17.ინტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-4 | 4 |
| 18.ბოლონია | 4 | 0 | 1 | 3 | 0-5 | 1 |
| 19.ფროზინონე | 4 | 0 | 1 | 3 | 0-10 | 1 |
| 20.კიევო | 4 | 0 | 2 | 2 | 5-11 | -1 |

**შენიშვნა**: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# სიტის გარდა, ყველა ფავორიტმა მოიგო



### E ჯგუფი

**ბენფიკა-ბაიერნი 0:2**

ლისაბონი. და ლუში

0:1 ლევანდოვსკი (10), 0:2 სანშესი (54)

ბაიერნის მოგებაში ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი. ანგარიშიდანაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ბავარიელებმა იოლად მოიგეს. ასეც არის. შესვენებამდე ბენფიკას თამაშმა გაოცებული დატოვა ბაიერნის ფეხბურთელები. მიუხედავად იმისა, რომ ბენფიკა პირველ ტაიმში უტევდა, დიდი პრობლემები ბავარიას არ შეჰქმნია, მეორე ტაიმში კი მასპინძლებს საერთოდ არ შეუტევიათ. მხოლოდ მატჩის მიწურულს შექმნეს რამდენიმე ხიფათი, მაგრამ იმ დღეს ნოიერისთვის გოლის გატანა რთული აღმოჩნდა.

**აიაქსი-აეკი 3:0**

ამსტერდამი. იოჰან კრუიფი

1:0 ტალიაფიკო (46), 2:0 ვან დე ბეეკი (77), 3:0 ტალიაფიკო (90)

აიაქსმა დიდებულად აღნიშნა ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება. მაყურებელთა წარმოუდგენელი გულშემატკივრობის ფონზე გუნდმა ჩინებული ფეხბურთი აჩვენა, მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა და სასურველი გამარჯვებაც მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, ჰოლანდიელები მეტოქის კარზე ზეწოლას აძლიერებდნენ, რასაც აეკმა მეორეში ველარ გაუძლო.

ტალიაფიკოს პირველი გოლის შემდეგ აეკი გატყდა, ჰოლანდიელებმა კარგა ხანს უგოლოდ უტიეს, თუმცა, რამდენიმე შანსი ჰქონდათ. საბოლოოდ, ბოლოსკენ ორჯერ იხეირეს და ანგარიშს გამანადგურებელი სახე მისცეს.

### F ჯგუფი

**მანჩესტერ სიტი-ლიონი 1:2**

მანჩესტერი. ეტიჰადი

0:1 კორნე (26), 0:2 ფეკირი (43), 1:2 ბერნანდო სილვა (67)

ყველა ელოდა, რომ ჯგუფში სიტუაცია თავიდანვე ნათელი გახდებოდა. ყველა ლოგიკით, მანჩესტერ სიტის იოლად უნდა გაევლო ჯგუფური ეტაპი და მასთან ქულების მოპოვება ურთულესი იქნებოდა. ამიტომ, სხვა გუნდებს მხოლოდ ურთიერთშეხვედრებში უნდა გადაეწყვიტა მეორე გამსვლელის ვინაობა. ნურას უკაცრავად – ლიონმა ეტიჰედზე არ აპატია შეცდომები გვარდიოლას გუნდს და 2:1 მოუგო.

ლიონი საფრანგეთის ჩემპიონატში კრიზის განიცდის, მაგრამ ჩემპიონთა ლიგას სხვა განწყობით შეხვდა. ფრანგებმა გენიალური პირველი ტაიმი ითამაშეს, არაფერში ჩამორჩებოდნენ მეტოქეს და ისევე დინამიკური და აგრესიული ფეხბურთი ითამაშეს, რომელიც სიტის სჩვევია და მოუგო კიდეც 2:0...

მე-2 ტაიმში ლიონი ცოტა შეშინებული და თავის თავში დაჯერებული აღარ იყო, მაგრამ გაუძლო. სიტიმ მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა მოახერხა და ლიგაზეც პირველი ხმაურიანი სენსაცია დაფიქსირდა.

**შახტარი-ჰოფენჰაიმი 2:2**

ხარკოვი. მეტალისტი

0:1 გრილიჩი (6), 1:1 ისმაილი (27), 1:2 ნორდვეიტი (38), 2:2 მაიკონი (81)

შახტარს მეტოქეზე მეტი „ევროპული" გამოცდილება აქვს, მაგრამ საშინაო მატჩში ორჯერ მდევრის როლში აღმოჩნდნენ. შესაძლოა, იმ გამოცდილების ხარჯზე მოახერხეს გათანაბრება, რომელიც მეტოქეზე მეტი აქვთ.

### G ჯგუფი

**რეალი-რომა 3:0**

მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ

1:0 ისკო (45), 2:0 ბეილი (58), 3:0 მარიანო (90)

მხიარული მატჩი გამოდგა მადრიდში. ერთია, გატანილი გოლები უფრო მეტი უნდა გვეხილა, მაგრამ შემტევები სცოდავდნენ. ეს ძირითადად რეალის ფეხბურთელებზე ითქმის.

მადრიდელები იოლად ახერხებდნენ ხიფათის შექმნას და რომას უჭირდა მისი შეტევების შეჩერება. 3 გოლის გატანა მადრიდელებს საწყის 20 წუთში შეეძლოთ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ესპანელებს ტემპი არც შემდეგ დაუგდიათ. ზუსტად მაშინ, როდესაც გულშემატკივარი გოლებს მეორე ტაიმში ელოდა, ისკომ ანგარიში გახსნა.

დაწინაურებულმა რეალმა კი საქმის ბოლომდე მიყვანა იცის... ასეც მოხდა – ბეილისა და მარიანოს გოლებით რეალმა ჯგუფის ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა.

**პლზენი-ცსკა 2:2**

პლზენი. დოოსანი

1:0, 2:0 კრმენჩიკი (29, 41), 2:1 ჩალოვი (49), ვლასიჩი (90პ)

პირველი ტაიმის შემდეგ ისე ჩანდა, რომ რუსული არმია ჩეხეთში ვერაფერს გახდებოდა. მასპინძლები კრმენჩიკის დუბლით იგებდნენ, მაგრამ ჩალოვმა და ვლასიჩმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. აღსანიშნავია, რომ ცსკამ მე-2 გოლი ბოლო წუთზე პენალტით გაიტანა. H ჯგუფი.

**ვალენსია-იუვენტუსი 0:2**

ვალენსია. მესტალია

0:1, 0:2 პიანიჩი (45პ, 51პ)

**გაძევება:** რონალდო (29)

„მესტალიაზე" გამართულმა მატჩმა მოლოდინი სრულად გაამართლა. ძალიან ემოციური მატჩი გამოდგა, რომლის მთავარი შემოქმედი გერმანელი მსაჯი ფელიქს ბრიხი გამოდგა. რეფერიმ პირველი ტაიმის შუაში ტურინელები შოკში ჩააგდო, როდესაც მოედნიდან კრიშტიანუ რონალდუ გააძევა, შემდეგ კი 3 პენალტი დანიშნა. აქედან 2 მასპინძელთა კარში და მირალემ პიანიაჩმა ორივე გამოიყენა, ხოლო მატჩის ბოლოს ვალენსია თავის შანსი ხელიდან გაუშვა და საკუთარ მოედანზე 0:2 დამარცხდა. იანგ ბოიზი-მანჩესტერი 0:3 ბერნი. ვანკდორფი 0:1, 0:2 პოგბა (35, 44პ), 0:3 მარსიალი (66)

სიურპრიზების გარეშე გაიარა მანჩესტერმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის შეხვედრა. პოგბას დუბლის შემდეგ ყველაფერი ნათელი იყო, მარსიალმა საბოლოო სახე მისცა ანგარიშს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ცოლმა მოღალატე ქმარს სახლი მალულად გაუყიდა




ავსტრალიელმა ქალმა როდესაც თავისი მეუღლის ღალატის შესახებ გაიგო, სანამ მისი ქმარი მივლინებაში იმყოფებოდა, მათ საერთო მფლობელობაში არსებული სახლი გაყიდა.

ქალმა, სახელად მელმა, აღიარა, რომ მარტისთან მის ქორწინებაში ყველაფერი კარგად იყო, სანამ მისმა კომპანიამ კანადაში დამატებითი ოფისი არ გახსნა. ქალის მეუღლე კვირობით იმყოფებოდა მივლინებაში და ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა გაფუჭდა.

– ძალიან მწყინდა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მარტო მიწევდა ყოფნა. უნდა ვაღიარო, რომ როდესაც ის სახლში იყო, მაინც ხშირად ვიყავი მასზე გამწყრალი და გამუდმებით ვბუზღუნებდი, – აღნიშნა მელმა.

მან ქმარს ოჯახის ფსიქოლოგთან მისვლა შესთავაზა, მაგრამ მან ამაზე უარი უთხრა. სახლში ყოფნის დროს ქმარი გამუდმებით ნოუთბუქთან იჯდა, ხოლო ცოლს ეუბნებოდა, რომ უამრავი სამუშაო ჰქონდა. ერთხელაც მას მუხლებზე დადებული ნოუთბუქით ჩასთვლიმა და მელმა აღმოაჩინა, მას სხვა ქალისგან მიუვიდა შეტყობინება. მათი მიმოწერიდან ქალი მიხვდა, რომ მარტი კანადაში ყოფნის დროს მასთან ცხოვრობდა და დაქორწინებასაც კი გეგმავდნენ.

მელმა თავიდან გადაწყვიტა, რომ კანადელისთვის მთელი სიმართლე ეთქვა მეუღლის შესახებ, მაგრამ შემდეგ მოუნდა, მასზე შური ეძია. როგორც კი ქმარი ისევ მივლინებაში გაემგზავრა, მან უძრავი ქონების აგენტებს მიმართა თხოვნით, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაეყიდათ მათი სახლი. უძრავი ქონება ქალზე იყო გაფორმებული. ბინის გაყიდვიდან მიღებული თანხა ქალმა ორ ნაწილად გაყო, ერთი ნაწილი საკუთარ ანგარიშზე განათავსა, ხოლო მეორე ნაწილი – თავის და მეუღლის საერთო ანგარიშზე.

თავად მელი დაქალებთან ერთად კრუიზში გაემგზავრა და არ იცის, როგორი რეაქცია ექნება ამ ყველაფერზე მის მეუღლეს, როდესაც მივლინებიდან დაბრუნდება და აწ უკვე მათ ყოფილ სახლში მისი სხვა მფლობელები დახვდებიან.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# შურისმაძიებელმა ბებიამ ალიგატორი მოკლა



ამერიკის ტეხასის შტატის მკვიდრმა ხანდაზმულმა ქალბატონმა საკუთარ პონისზე შურისძიების მიზნით ალიგატორი მოკლა.

ჯუდ კოკრენმა, რომელიც მიმდინარე წლის მაისში ქალაქ ლივინგსტონის მერად იქნა არჩეული, 3,6 მეტრი სიგრძის და 263 კილოგრამი წონის რეპტილია ერთი გასროლით მოკლა. კოკრენი ალიგატორის ხორცის შეჭმას, მისი ტყავისგან ჩექმების შეკერვას, ხოლო მისი უზარმაზარი თავის საკუთარ სამუშაო ოთახში კედელზე ჩამოკიდებას აპირებს.

კოკრენმა, რომელიც ახლახან დიდი ბებია გახდა, განმარტა, რომ ჩვეულებრივ ის ნადირობით დაკავებული არ არის, მაგრამ ამ ალიგატორთან მას თავისი ძველი ანგარიშები ჰქონდა. სამი წლის წინ მისი რანჩოდან პონი დაიკარგა. მისი გვამის ნაწილებს ვერსად მიაგნეს. ქალი ფიქრობს, რომ ის ალიგატორმა შეჭამა, ამასთან – ძალიან დიდმა.

მას შემდეგ ის ყურადღებით უთვალთვალებდა ყველა ალიგატორს, რომლებიც მისი რანჩოს ტერიტორიაზე ჩნდებოდნენ, თუმცა არც ერთი მათგანი, მისი შეხედულებით, არ იყო საკმარისად დიდი. მხოლოდ ორშაბათს შენიშნა მან რეპტილია, რომელიც, მისი აზრით, საკმარისი ზომის იყო. კოკრენმა აღიარა, რომ მას ძალიან გაუმართლა, რომ ის სწორედ იმ დროს გამოჩნდა, როდესაც ალიგატორებზე ნადირობის ხანმოკლე სეზონი იყო.

რანჩოს ტერიტორიაზე ალიგატორისთვის ხაფანგი დააგეს და ისიც მასში გაება. კოკრენი ადგილზე მივიდა და რეპტილია თოფის ერთი გასროლით მოკლა.

ჩვენს საყვარელ

**დალი დავითურს**

ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებსა და უფლის წყალობას!

**სიყვარულით, „ახალი თაობა"**

# ასტროპროგნოზი

## 21 სექტემბრისათვის



**ვერძი** – მკვეთრ გამონათქვამებს, კონფლიქტში ჩართვას ერიდეთ. ასევე არასასურველია ორაზროვანი ხუმრობები. **კურო** – უმიზეზო განგაშის შეგრძნება გაქვთ. საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. პასუხისმგებლობას სხვას ნუ დააკისრებთ. **ტყუპები** – საოჯახო საქმეები დიდ ენერგიას არ გართმევთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **კირჩხიბი** – თავს ნურავის მოატყუებინებთ. წყენა გულში არ ჩაიტოვოთ. ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. **ლომი** – მძიმე, სახიფათო დღეა. გარშემომყოფებთან ურთიერთობა დაძაბულია. წინდაუხედავი ლაპარაკი საქმეს უფრო გაართულებს. **ქალწული** – ნუ გარისკავთ. აკონტროლეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. რომანტიკულ ურთიერთობებსა და საოჯახო საქმეებს შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. **სასწორი** – იყავით მობილიზებული. ნუ მოეშვებით. ურთიერთთანამშრომლობაზე მაშინვე ნუ დათანხმდებით. **მორიელი** – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური მუშაობისათვის. ძალები დაზოგეთ. **მშვილდოსანი** – ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის შესაფერისი პერიოდია. ნუ იქნებით ზედმეტად კატეგორიული. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში ერთგვარი არასტაბილურობა შეინიშნება. მიხედეთ ჯანმრთელობას. **მერწყული** – სულიერი განახლების დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა და სექსუალური პოტენციალი. **თევზები** – სამოგზაუროდ წასვლა უნდა გადადოთ. იმედი გიცრუვდებათ. ცვლილებები მშვიდად მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მესხების, გურულებისა და აჭარლების ძველებური ჩოხა; 2. მდინარე პრაღაში; 3. კიდულ რელსებზე მოძრავი, ტვირთის ასაწევი მექანიზმი; 4. იტალიის ნაკრებისა და იუვენტუსის ფეხბურთელი; 5. ლირიკული სიმღერა; 7. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 11. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ავსტრალიაში გავრცელებული სირაქლემისნაირთა ოჯახის ფრინველი; 14. ყავის მწარმოებელი ფირმა; 15. უკრაინის კარპატებში მცხოვრებ ხალხთა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი; 17. ველური ვარდი; 19. საცხენოსნო შეჯიბრება.

**თარაზულად:** 5. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 6. ფიჭიანი თაფლი; 8. პროვინციის მმართველი თურქეთში; 9. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 10. შტატი აშშ-ში; 11. ყაჩაღის ძველი სახელწოდება საქართველოში; 13. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 14. აღმოსავლური მაგიდის სათამაშო; 16. მარდი, მამაცი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 18. აეროპორტი პეკინში; 20. მარგალიტის ყელსაბამი; 21. უთავბოლო, მომაბეზრებელი ლაპარაკი, ყბედობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პობედა; 2. წულა; 3. შემოქმედი; 5. აგუნა; 5. მამფალი; 8. როზეტი; 9. მინანქარი; 12. ბუზუკი; 14. ოაზისი; 16. იტილი.

**თარაზულად:** 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირაღი; 9. მაწონი; 10. ცანა; 11. ჰეროინი; 13. წნორი; 15. რუბიკი; 17. ყირმიზი; 18. გულაბი; 19. ფაუსტი; 20. სიმინდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პეტრა; 2. ასაჰი; 3. ფორნებუ; 4. ლალი; 5. რადა; 6. სკიპტრა; 9. ცხენისწყალი; 10. დრომადერი; 11. დობერმანი; 14. კამიუ; 16. შპიგი; 18. ფეიქარი; 20. აღდგომა; 23. კარე; 24. ოდიში; 25. მნათე; 26. წოტი.

**თარაზულად:** 7. კონსტანტა; 8. ნახალოვკა; 12. ტევრი; 13. კოლტი; 15. ჯუნტა; 17. მაჯესტიკი; 19. ჯაყვა; 21. დიორი; 22. ანოდი; 27. პროპორცია; 28. პანტომიმა.

# გიორგი ბოჭორიშვილი საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობად დაასახელეს




ქართველი მსახიობი გიორგი ბოჭორიშვილი, რომელიც ფართო საზოგადოებამ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებით“ გაიცნო, ალმააჩტაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობად დაასახელეს.

ქართველმა მსახიობმა ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი“ გაიმარჯვა და კინოფესტივალის მთავარ ჯილდოსთან ერთად სოლიდური ფულადი პრიზი – 1.000.000 ყაზახური ტენგე მოიგო.

გიორგი ბოჭორიშვილი ამ ნომინაციაში გამარჯვებული რეჟისორ თინათინ ყაჯრიშვილის ფილმ „ჰორიზონტში“ შესრულებული როლისთვის გახდა.

# ქეთი მელუა საპატიო თბილისელია

ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუა საპატიო თბილისელია. მას დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის სიმბოლური გასაღები გადასცა.



ქეთი მელუამ თბილისში უფასო კონცერტი გამართა და მსმენელის წინაშე დედაქალაქის მერიის პროექტის „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში წარდგა. კონცერტი ევროპის მოედანზე გაიმართა და მასზე დასწრება თავისუფალი იყო. მსოფლიო მასშტაბის პოპვარსკვლავმა თავის ბრიტანულ ბენდთან ერთად ძველი და ახალი ჰიტები შეასრულა.

# „დედე“ ევროპული კინოაკადემიის ნომინანტია




მარიამ ხაჭვანის ფილმი „დედე“ ევროპული კინოაკადემიის ნომინანტია. ინფორმაცია ამის შესახებ რეჟისორმა თავად გაავრცელა:

– შესანიშნავი სიახლე! ევროპული კინოაკადემიის ნომინაციაზე კიდევ ხუთი ფილმი წარადგინეს, მათ შორის „დედე“. უდიდესი მადლობა ფილმის შემოქმედებით ჯგუფს, მხარდამჭერებსა და ყველას, ვისაც ჩვენი სჯერა!

„დედე“ სვან გოგოზე მოგვითხრობს, რომელიც სიყვარულისთვის იბრძვის და იმარჯვებს კიდეც. „დედეს“ გადაღებები სვანეთში, ყაზბეგსა და კასპში მიმდინარეობდა. ფილმში პერსონაჟები, ძირითადად, სვანურ ენაზე საუბრობენ.

„დედეში“ მოქმედება 1992 წელს, პოსტსაბჭოთა საქართველოში სამოქალაქო ომის შემდეგ იწყება. გეგი, რომლის როლსაც გიორგი ბაბლუანი თამაშობს და დავითი, რომლის როლსაც ნუკრი ხაჭვანი ასრულებს, არიან ძმები, რომლებიც სვანეთის მაღალ, თოვლიან მწვერვალზე, სახლში ბრუნდებიან.

გეგიმ დავითის სიცოცხლე ბრძოლის ველზე გადაარჩინა და, როგორც პატივსაცემი სტუმარი, დინას, რომლის როლსაც ნათია ვიბლიანი თამაშობს, ქორწილშია მიწვეული. მაგრამ ბედისწერით დინასა და გეგის ერთმანეთი შეუყვარდებათ ისე, რომ ერთმანეთის სახელებიც კი არ იციან.

დინა ცდილობს, დაარღვიოს ჩაწყობილი ქორწინება დავითთან, რა შემთხვევაშიც ორივე ოჯახს შერცხვენა ემუქრება.

„ქალს არ აქვს სიტყვის თქმის უფლება. მაშინაც კი, თუ მთელი შენი სიცოცხლე გეძულები, მაინც ჩემზე იქნები დაქორწინებული“, – უთხრა დავითმა.

დავითმა გეგის საკუთარი სიცოცხლე შესწირა, მაგრამ არა – ცოლი.

# ფეისბუქში ანიტა რაჭველიშვილის სახელით თაღლითობენ

მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცოსოპრანოს ანიტა რაჭველიშვილის სახელით უცნობი პირები სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ თაღლითობენ. შექმნილი ყალბი გვერდით, რომელიც ანიტას სახელით, გვარითა და ფოტოებით არის რეგისტრირებული, ოპერის მომღერლის მეგობრებს დაუდგენელი პირები საჩუქრებს სთხოვენ.



**ანიტა რაჭველიშვილი:**

– ყურადღება! ძვირფასო მეგობრებო! ვილაცა ჩემი სახელისა და ფოტოების გამოყენებით ქმნის ყალბ პროფილებს და უგზავნის მესიჯებს ჩემს მეგობრებს! ეს ადამიანი სთხოვს ყველას, რომ მის მეგობრებს საჩუქრები გაუგზავნონ და მალე ალბათ ფულსაც მოითხოვს!

გთხოვთ, ფრთხილად იყავით და არსად არაფერი არ გაგზავნოთ. მე არასდროს მოვითხოვდი არავისგან არც საჩუქრებს და არც ფულს!

გთხოვთ, ფრთხილად იყავით! მადლობა! ?

გავარკვევთ, ვინ არის და მკაცრად დაისჯება კანონით! ციხეა ასეთ უკანონო ქმედებაზე!

# დავით ნემსაძე: „ბაგრატის ტაძრის შეუსწავლელი ციტადელი გაიყიდა“

## კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო: „გავრცელებული ინფორმაცია სრული სიცრუეა“

დავით ნემსაძემ „არმიის სამოქალაქო კონტროლის ჯგუფის“ სახელით სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბაგრატის ტაძრის შეუსწავლელი ციტადელი გაიყიდა:

– ღალატი! გაყიდულია ბაგრატის ტაძრის შეუსწავლელი ციტადელი.

ბოლო წუთამდე მჯეროდა, რომ ეს იყო სიცრუე, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ამბავი მართალია.

ყველა ქართველს შეარყევს ეს მოღალატეობრივი აქტი, თუმცა მე ქუთაისიდან ვარ და ამ ბებერ ქვებზე გავიზარდე, თითოეული ქვა, ბილიკი, წარწერა თუ ჩუქურთმა ჩემთვის იქ მშობლიურია, ამიტომ ამ ამბის გაგებამ საუკუნოდ დამაღონა.

წინაპრების დიადი ისტორიის შემორჩენილ ნაშთები ე.წ. კიტოვანის ექსსიძემ და ნაოცნებარი ხელისუფლების კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ გაყიდა.

სურათზე წითლად მოხაზულ მონაკვეთში ნათლად ჩანს დამცავი ბასტიონის ნაშთები. დღეს ეს ტერიტორია გაყიდულია, ირანელი ინვესტორი ააშენებს სასტუმროს და იქაურობა გაივსება მეძავებით, არაბებით, ირანელებითა და სხვა უცხოტომელებით, რომლისგანაც ერთ დროს ეს ციხის კედლები იცავდა.

ჩვენ კი საკუთარი ისტორიის დანგრევას აღმშენებლობას დავარქმევთ, იმ სასტუმრო-ჰარამხანას კი – ტურიზმს.

ე.წ. გიდები კი პირში ჩილიმგაჩრილ ულვაშა ,,ტურისტს“ საამებლად მოუყვებიან, როგორ იპყრობდა მისი უჯიშო წინაპარი ბაგრატის ღვთისმშობლის ტაძარს. უკვე ნარკოლიბერალიზირებული ,,ჰეშდულა“, თრიაქით გაბრუებული, ისტორიულ ნაშთებზე აგებულ ჰარემში შევა და ქართველ გოგოსთან მასაჟით დაკავდება.




აი, რას შვრება ფსევდოკაპიტალიზმი და ბიზნესინტერესები.

დიდება ტურიზმს!

ქართველებო, მაგიდასთან ჯდომის, ჩაის წრუპვისა და ნარცისიზმის დრო არ გვაქვს. ახლა ჟამი გვიდგას ისეთი, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით და ბუტაფორიული არისტოკრატიით შორს ვერ წავალთ.

ქართველნო, იყავით ყურადღებით, შაჰაბასის საქმის გამგრძელებლის მამუკა გიორგაძის ბუნაგთან კულტურის სამინისტროსთან პირველივე დაძახილზე მოდით.

ისტორიული მიწა და ციტადელის ნაშთები უნდა დაუბრუნდეს ქართველ ერს.

დავით ნემსაძის განცხადებას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ოფიციალური წერილით უპასუხა:

– სოციალურ ქსელში და ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში ქუთაისის IV-V საუკუნეების ნაქალაქარის მიმდებარედ კულტურის მინისტრის მიერ ისტორიული აბანოს ტერიტორიის გაყიდულ მიწებთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია სრული სიცრუეა და მიზნად ფართო საზოგადოებრივ აჟიოტაჟსა და პროვოკაციას ისახავს. „არმიის სამოქალაქო კონტროლის ჯგუფის“ სახელის ქვეშ იდენტიფიცირებული მოქალაქეების ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული განცხადება სრულად აცდენილია ობიექტურ რეალობას და მკითხველს მცდარ მონაცემებს აწვდის!

პოლიტიკური მიკერძოების ნიშნებით გაჯერებულ პათეტიკურ განცხადებაში მოყვანილი ტყუილისა და ცრუ მონაცემების საპირისპიროდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აცხადებს, რომ მინიშნებულ არქეოლოგიურ ობიექტს განცხადებაში მინიშნებულ ფართთან, „ბაგრატის ტაძრის შეუსწავლელ ციტადელთან“ საერთო არაფერი აქვს და ის საკათედრო ტაძრის გალავნიდან ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით 100 მეტრის დაშორებით მდებარე ისტორიული აბანოს კომპლექსია, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში არქეოლოგ ომარ ლანჩავას ხელმძღვანელობით წარმოებული სამეცნიერო კვლევა-ძიების პროცესის შედეგად გამოვლინდა. კომპლექსი მოიცავდა: აბანოს, შეშის საწყობს, მოსასვენებელ სახლსა და წყლის მოცულობით რეზერვუარს. იმავე წლებში ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (30 ჰა) განსახლებული იყო 40-მდე ოჯახი, რომელთაც ქალაქ ქუთაისის იმდროინდელი ალმასკომის დადგენილებით ჩამოერთვათ სამოსახლო მიწების გარკვეული ფართობი, რაც სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა.

2008 წელს 26 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განახორციელა №03.02.03.108 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის, ისტორიული აბანოს მიწის ფართობის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რის შემდეგაც კერძო მესაკუთრეს კანონმდებლობის ფარგლებში მისი განკარგვის უფლებამოსილებაც მიენიჭა. შესაბამისად, არც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და არც ყოფილ მინისტრ მიხეილ გიორგაძეს კერძო მესაკუთრის მიერ აღნიშნული მიწის გასხვისების შესაძლო გარიგებასთან არანაირი საერთო არ ჰქონიათ და არც შეიძლება ჰქონოდათ.

ამავდროულად, ისტორიულ აბანოს, როგორც უქიმერიონის ციხის კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული და მას კანონი იცავს. ამასთან ერთად, მიწის აღნიშნული ფართობი მდებარეობს ეროვნული კატეგორიის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე ბაგრატის საკათედრო ტაძრის 500- მეტრიანი დაცვითი ზონის არეალში, რომელზეც ნებისმიერი შეუთანხმებელი ფიზიკური ჩარევა დასჯად ქმედებად ითვლება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**მალამო მენტორი ხუთი**

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.**

☎ 599-73-48-21

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6179 |
| ევრო | — 3.0606 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.4417 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.9087 |

## ამინდის პროგნოზი 21 სექტემბრისთვის




# კრიშტიანო რონალდო: „გაძევებას არ ვიმსახურებდი“



ვალენსიასთან შეხვედრაში კრიშტიანო რონალდო პირველ ტაიმში მოედნიდან გააძევეს. ამ ეპიზოდმა ბევრი კამათი გამოიწვია, რადგან, ბევრის აზრით, რონალდო გაძევებას არ იმსახურებდა. ასე ფიქრობს თვითონ ფეხბურთელიც:

– ჩემთვის გაუგებარია, რატომ გამაძევა მსაჯმა, რადგან იმ მომენტში არაფერი დამიშავებია. ძალიან გავბრაზდი და ემოციები ვერ მოვთოკე. მსაჯები ასეთ შეცდომებს არ უნდა უშვებდნენ.

რონალდოს გაძევების მიუხედავად, იუვენტუსმა ვალენსია მაინც დაამარცხა ანგარიშით 2:0.

# ვან დეიკი: „ლივერპულს დიდი პოტენციალი აქვს“



ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულს დიდი პოტენციალი აქვს და ყველა ტურნირის მოგება შეუძლია.

ვან დეიკის თქმით, ლივერპული ყველა შეხვედრაში მხოლოდ მოსაგებად გადის მინდორზე. – ჩვენ გვინდა, რომ ყველა თამაშში მივაღწიოთ წარმატებას და სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ლივერპულს შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს და ეს ფორმა უნდა შევინარჩუნოთ. იმედი მაქვს, სეზონის ბოლოს რამე მნიშვნელოვან ტიტულს მოვიგებთ, – განაცხადა ვან დეიკმა.

# რაკიტიჩი ბარსელონიდან წასვლას არ აპირებს



ივან რაკიტიჩმა განაცხადა, რომ ბარსელონაში ბედნიერია და გუნდის დატოვებას არც მომავალი სეზონის ბოლოს აპირებს.

რაკიტიჩის შეძენა პსჟ-ს სურდა და პარიზელები მზად იყვნენ, ამ ტრანსფერში 90 მილიონი ევრო გადაეხადათ, თუმცა რაკიტიჩმა უარი განაცხადა.

ხორვატი ფეხბურთელის თქმით, ბარსელონაში მას ყველაფერი აკმაყოფილებს და სხვა გუნდებზე ის არც ფიქრობს.

რაკიტიჩი ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა, მანამდე კი სევილიის ღირსებას იცავდა.

# მოურინიომ პოლ პოგბა შეაქო





იან ბოისთან გამარჯვების შემდეგ ჟოზე მოურინიომ პოლ პოგბაზე ისაუბრა და თქვა, რომ ფრანგი ფეხბურთელი ამჟამად ძალიან კარგ ფორმაშია.

მოურინიოს აზრით, პოგბა მომავალში კიდევ უფრო უკეთესად ითამაშებს.

– ძალიან კმაყოფილი ვარ პოგბას თამაშით და ვიმედოვნებ, რომ ის ამ ფორმას შეინარჩუნებს. სხვა ფეხბურთელებმაც ძალიან კარგად ითამაშეს და გამარჯვება დავიმსახურეთ, – განაცხადა მოურინიომ.

მანჩესტერ იუნაიტედმა იანგ ბოისი სტუმრად 3:0 დაამარცხა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი

ქალი ნაცნობ მამაკაცს ეკითხება:

– შენი აზრით, ჩემი კატა მაკედაა თუ უბრალოდ გასუქდა?

– თუ მისი კვერცხებით ვიმსჯელებთ, ბევრს ჭამს.

•••

ახლობელთან სტუმრად მისულ ახალგაზრდას კართან ბულდოგი დახვდა. მასპინძელი ეუბნება:

– რას დგახარ? შემოდი.

– და არ იკბინება?

– ჩვენც გვაინტერესებს, პირველი დღეა, რაც მოვიყვანეთ...

•••

დილით ადამმა გაიღვიძა და არც ერთი ნეკნი აღარ აქვს.

– ღმერთო ჩემო, ეს რა არის?

– გუშინ რომ გამოთვერი და გაიძახოდი: „ქალები მინდა, ქალები მინდა!“ აბა რა გეგონა!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– გიყვარვარ?

– როგორ გითხრა... მიყვარს ქეიფი და ბო...ბი, შენთან კი ყველაფერი სერიოზულადაა...

•••

საავადმყოფოში ტელეფონი რეკავს:

– დილა მშვიდობისა, შეგიძლიათ მითხრათ, როგორ არის ავადმყოფ ქორიძის საქმე მეექვსე პალატიდან?

– ერთი წუთით, – პასუხობს მედდა, – მის ბარათს მოვძებნი... აი, ვნახე. ასე, მოტეხილობა კარგად ხორცდება. ზეგ მოვხსნით თაბაშირს, ხოლო პარასკევს – ნაკერებს.

– თუ არის აუცილებელი ოპერაციის შემდგომი დაკვირვებები?

– დიახ, ორი-სამი კვირის განმავლობაში ულტრაბგერით პროცედურებზე სიარული მოუწევს.

– და საავადმყოფოდან როდის გაწერენ?

– პარასკევს და თქვენ მისი ნათესავი ხართ?

– არა, მე თავად ვარ ქორიძე, მაგრამ ამ საავადმყოფოში არავინ არაფერს მეუბნება!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






ანშენ ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# აუტიზმით დაავადებული და სკოლიდან გარიცხული ბიჭი მოდელი გახდა



დიდ ბრიტანეთში 11 წლის ბიჭი, რომელიც ჩვეულებრივი სკოლიდან აუტიზმის გამო გარიცხეს, ერთ-ერთი ბრენდის მოდელი გახდა.

ორი წლის წინ ალფი ოლდრიჯი იძულებული გახდა, განსაკუთრებული მოთხოვნილების ბავშვების სკოლაში გადასულიყო, ვინაიდან ჩვეულებრივ სკოლაში მას ცუდად ეპყრობოდნენ როგორც თანაკლასელები, ისე მასწავლებლები. ბავშვის მამა, გერი, ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივ სასწავლო დაწესებულებაში ბავშვს უკრძალავდნენ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობას და ასევე უფლებას არ აძლევდნენ, კლასელებთან ერთად გადაეღო სურათები.

– ეს ყოველივე მაცოფებს. მან საკუთარი ცხოვრების ორი შესანიშნავი წელი დაკარგა, – აღშფოთებით აცხადებს ბიჭის მამა.

ახალ სკოლაში ალფი თეატრალურ რგოლში ჩაეწერა და ოჯახის ერთ-ერთი მეგობრის ყურადღება მიიპყრო. მან ბავშვის მამას ურჩია, სამოდელო სააგენტოსთვის მიემართა. თავიდან გერის ეჭვი ეპარებოდა, რომ მისი შვილი გადაღებებში მონაწილეობას შეძლებდა, მაგრამ მეგობარმა დაარწმუნა, რომ ეცადა და პორტფოლიოს შესადგენად პროფესიონალი ფოტოგრაფი დაიქირავა.

ფოტოსესიამ წარმატებით ჩაიარა. ალფის მოდელად მუშაობა ძალიან მოეწონა. გერიმ აღნიშნა, რომ გადაღებებმა მისი შვილი ძალიან შეცვალა და ის აგრესიული აღარ არის. თავად ალფი მოდელის კარიერის გაგრძელებაზე ოცნებობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. ყავის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. პერუს დედაქალაქი; 6. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ძალის გამოყენებით შემოერთება; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. სამედიატორო სასამართლო; 11. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდების დამდგენი მედიცინის დარგი; 14. მამათა მონასტერი; 16. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 20. კლუბ „ბარსელონის“ დამფუძნებელი; 23. უძველესი ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. დიდი სიცხე; 26. აეროპორტი თელ ავივში.

**თარაზულად**: 7. გადამფრენი ფრინველების პერიოდული მოვლენების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 8. ნავთობი – გაზის უდიდესი საბადო ირანში; 12. ცხოველის ტანზე დასმული დამღა; 13. ბრიტანეთის ნაწილი; 15. საინფორმაციო საშუალება; 17. ესპანელი მხატვარი; 19. ციტრუსოვანი მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 21. აეროპორტი პარიზში; 22. ფრანგი მწერალი; 27. ძველი იშვიათი ნივთების შემფასებელი, მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

